ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 8 ნოემბერი 2008 №259 (3483) ფასი 50 თეთრი


# 18, 18, 17, 16: ცხრილის თავი გადაიტვირთა

## დინამომ მგლებზე ზედმეტით იძალა



სიონი 2:2 ვიტ ჯორჯია. დავით სვანიძის პირველი გამათანაბრებელი გოლი



## სად არის გოგუა?!

### უცნაური გაუჩინარება ნალჩიკის სპარტაკიდან

ნალჩიკის „სპარტაკის“ ქართველმა ნახევარმცველმა გოგიტა გოგუამ კლუბი დატოვა.

ქართველი ლეგიონერის „სპარტაკიდან“ წასვლის ნამდვილ მიზეზს ჯერ ვერავინ ამბობს, თუმცა რუსული პრესის ვარაუდით, გოგუა ახალი სეზონიდან სხვა გუნდში გადავა.

გოგუას ეს ნაბიჯი მთლად მოულოდნელიც არ უნდა იყოს, რადგან პრემიერლიგის ბოლო ტურში ის სარეზერვო გუნდში ათამაშეს, რის გამოც გუნდის მთავარმა მწვრთნელმა იური კრასნოჟანმა საგანგებო განცხადებაც კი გააკეთა და კონფლიქტი გამორიცხა, თუმცა მერე ისიც ითქვა, გოგიტამ ტრავმა მიიღო და სეზონი ნაადრევად დაასრულაო.

ჩანს, საქმე სხვა რამეში იყო...

# სარაგბო ფინალი: სიამოვნება უფასოდ

ხვალ. თბილისი. „მიხეილ მესხი“. 16 საათი

## ლოკომოტივი — ლელო



## მრთი წელიც და, ქართული საკლუბო ევროპაში გავა

ხვალ საქართველოს ახალი ჩემპიონი ეყოლება. ახალს ვამბობთ, რადგან, შარშანდელმა ჩემპიონმა „ვისოლი-ყოჩებმა“ „ლოკომოტივისა“ და „ლელოს“ კონკურენციას ვერ გაუძლო და ოდენ მესამეობას დასჯერდა.

თუმცა რა დროს ეს არის, როცა ხვალ დანდობა არ იქნება. „ლოკომოტივმაც“ და „ლელომაც“ უკვე იციან ჩემპიონობის გემო და ბზის თასით გამარჯვების სადღეგრძელოს დალევას ერთხელაც შეეცდებიან.

ვინ დალევს ბზის თასიდან, ხვალ გამოჩნდება, იქამდე კი შინაური რაგბის ორი ბობოლა დიდ ბრძოლას გვპირდება და სტადიონზე გულშემატკივრებსაც უხმობენ.



## აუზი. ფული და დრო

### რევაზ ჩომახიძის შტურმიც მაშინ დამთავრდება

13



# მუტუს საქართველო გამოირიცხა

19 ნოემბერს საქართველო სტუმრად ამხანაგურ მატჩს რომ გამართავს რუმინეთთან, გეცოდინებათ.

და აი, ახალი ამბავიც: რუმინეთის ნაკრებისა და იტალიური „ფიორენტინას" ლიდერი ადრიან მუტუ ამ მატჩში ტრავმის გამო ვერ ითამაშებს.

მუტუს მიუნხენის „ბაიერნთან" საჩემპიონთალიგო შეხვედრისას მიღებული ტრავმა ორკვირიან მკურნალობას ითხოვს და, ბუნებრივია, საქართველოსთან მისი თამაში გამორიცხულია...

**კახა შალამბერიძე**

# ხიზანიშვილის ფიტნეს-კურსები



ინგლისური „ბლექბერნის" ქართველი მცველი ზურაბ ხიზანიშვილი თანაგუნდელებთან ერთად აქციაში მონაწილეობს — სენტ დევიდის სკოლის მოსწავლეებს ფიზმომზადებაში ავარჯიშებს.

ბრიტანული DAILY POST-ის ცნობით, პროგრამაში ოცდაათი მოსწავლეა ჩართული, რომელნიც რიგრიგობით ვარჯიშობენ ხოლმე „ბლექბერნის" მოთამაშეებთან ერთად — ახლა სწორედ ხიზანიშვილის ჯერი იყო და...

**ოთარ მხეიძე**

# არზიანის დივიზიონი

მახაჩყალის „ანჟის" ნახევარმცველი ზურაბ არზიანი რუსეთის პირველი დივიზიონის სიმბოლურ ნაკრებში მოხვდა.

ეს გუნდი რუსეთის პროფესიული ფეხბურთის ლიგის მიერ ორგანიზებულ ტურნირ „ნადეჟდაში" ითამაშებს, რომელიც 10-16 ნოემბერს ჩატარდება.

შეგახსენებთ: არზიანის გარდა „ანჟიში" კიდევ ექვსი ქართველი ირიცხება — მიხეილ აშვეთია, ვალერი აბრამიძე, გიორგი ნავალოვსკი, გოჩა ხოჯავა, რევაზ ჯიქია და რევაზ ბარაბაძე.

# რა გამახარებდა?!

აზერბაიჯანის თასის მერვედფინალში ევლახის „ქარვანთან" შეხვედრის (1:0) შემდეგ ბაქოს „ოლიმპიკის" ქართველმა ლეგიონერმა რომან ახალკაცმა აღიარა, რომ გატანილმა გოლმა არ გაახარა.

— „ქარვანში" სამი წელი ვთამაშობდი და ადრე ამ გუნდისთვის ყველაფერს ვაკეთებდი. ამჯერად მეტოქეს გოლი ჩემი პასით გავუტანეთ და „ქარვანი" მეოთხედფინალში ველარ გავიდა. ამიტომ, ევლახელი გულშემატკივრების წინაშე სიხარულს ვერ გამოვხატავდი" — განუცხადა ახალკაცმა აზერბაიჯანელ ჟურნალისტებს.

შეგახსენებთ: „ოლიმპიკში" ახალკაცის გარდა მიხეილ ხუციშვილი და რევაზ გეწაძე თამაშობენ.



**კახა შალამბერიძე**

# ნოზაძემ ჭელიძეს გადმოხედა

ლაშა ნოზაძის ყარაგანდის „შახტიორმა" ყაზახური სუპერლიგის ბოლო ტურში ლაშა ჭელიძის ყიზილორდას „ქაისარს" უმასპინძლა და 5:0 დაამარცხა.

ნოზაძე სათადარიგო იყო, ჭელიძემ კი სრულად ითამაშა.

„შახტიორმა" ყაზახეთის ჩემპიონატში მე-4 ადგილი დაიკავა, ხოლო „ქაისარმა" — მე-5.

## საქართველოს 20 ჩემპიონატი
### პირველი ლიგა — 11 ტური



ნოდარ ქებაძემ დაბადების დღე დუბლით აღნიშნა

**კახეთი 0:4 ამერი**

0:1, 0:2 ჩიმაკაძე (65, 69), 0:3, 0:4 ქებაძე (80, 87)

**კახეთი:** კობრიაშვილი, მ. ხიდეშელი, ხუმარაშვილი, ო. აბდულაევი, ლ. აბდულაევი (დეკანოზიშვილი 77), გენგაშვილი, კობაიძე, მელიქიშვილი, იმერლიშვილი, ი. ხუციშვილი (ბიძინაშვილი 46), ხამხაძე (ახალბედაშვილი 75)

*სათადარიგონი:* ქუფარაშვილი; ლ. ტეტიაშვილი

მწვრთნელი: გივი კობაიძე

**ამერი:** ლ. ნადირაშვილი, გვაძაბია, ელბაქიძე, ხატიაშვილი, კაკაბაძე, ხუციძე (ბუმბეიშვილი 78), ლაფერაშვილი, ჩიმაკაძე (ფუტკარაძე 81), ტიკურიშვილი, ცხოვრებაშვილი (ნ. ქებაძე 46), ბენდელიანი

*სათადარიგონი:* გვენცაძე; თ. სანიკიძე, ჯინიკაშვილი, ჯ. ჯოხაძე

მწვრთნელი: გიორგი ჩიხრაძე

მსაჯი: ხ. გაგნიძე

**ხვალ:**

სიონი 2 — გაგრა 2

ჩიხურა — ვიტ ჯორჯია 2

დილა — თბილისი

დინამო 2 — ნ. დინამო

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ჩიხურა | 10 | 7 | 2 | 1 | 22:7 | 23 |
| ამერი | 11 | 7 | 2 | 2 | 20:7 | 23 |
| ვიტ ჯორჯია 2 | 10 | 5 | 5 | 0 | 18:3 | 20 |
| დინამო 2 | 10 | 5 | 3 | 2 | 14:8 | 18 |
| დილა | 10 | 4 | 4 | 2 | 15:8 | 16 |
| სიონი 2 | 10 | 3 | 3 | 4 | 15:27 | 12 |
| თბილისი | 10 | 3 | 2 | 5 | 14:17 | 11 |
| გაგრა 2 | 10 | 2 | 2 | 6 | 13:22 | 8 |
| კახეთი | 11 | 2 | 2 | 7 | 6:21 | 8 |
| ნორჩი დინამო | 10 | 1 | 4 | 5 | 12:18 | 7 |
| ჰერეთი | 10 | 1 | 3 | 6 | 7:18 | 6 |

# ევროპის ჩემპიონს ქართველი განსჯის

ევროპის ჩემპიონი ესპანეთი 19 ნოემბერს ვილარეალში ამხანაგურ მატჩს გამართავს ჩილესთან, რომელსაც ქართველი მსაჯები მოემსახურებიან.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური ვებგვერდის ცნობით, არბიტრი გიორგი ვადაჭკორია იქნება, ასისტენტები — ზაზა მენთეშაშვილი და მამუკა ელიკაშვილი.

**კახა შალამბერიძე**

# დღეიდან ფესტივალი

დღეს თბილისში დაიწყება ბავშვთა საფეხბურთო ფესტივალი, რომელშიც 1998, 1999 და 2000 წლებში დაბადებული ფეხბურთელები მიიღებენ მონაწილეობას.

ამ ფესტივალში საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან იქნებიან გუნდები — სულ 50 გუნდი.

წამოწყების ორგანიზატორი თბილისის ფეხბურთის ფედერაციაა, მატჩები კი თბილისში, სხვადასხვა უბნების ხელოვნურსაფარიან მინიმოედნებზე ჩატარდება.

ფინალი 12 ნოემბერს „მიხეილ მესხის" სტადიონზე გაიმართება.

**ნუკრი ლოლაძე**

### ავსტრია
**ბუნდესლიგა**
ზალცბურგი 5:1 აუსტრია
**I ლიგა**
აუსტრია (ლ) 0:1 ადმირა
აუსტრია (მ) 1:0 ლუსტენაუ
ზალცბურგი (მ) 1:3 გრატკორნი
ზტ პოლტენი 3:0 ლეობენი
ნოიშტადტი 2:1 ვოკლაბრუკი

### ბელგია
**იუპილერლიგა**
სერკლი 2:0 ვარეგემი

### გერმანია
**I ბუნდესლიგა**
კიოლნი 2:1 ჰანოვერი
**II ბუნდესლიგა**
ალემანია 2:0 კობლენცი
ნიურნბერგი 0:0 ფრანკფურტი
ვეჰენი 4:2 ლაუტერნი
**III ლიგა**
აალენი 0:0 ბურგჰაუზენი
**სამხრეთ რეგიონალლიგა**
კასელი 2:0 პფულენდორფი
მიუნხენი (მ) 2:2 ულმი
**დასავლეთ რეგიონალლიგა**
დორტმუნდი (მ) 3:1 კიოლნი (მ)
მაინცი (მ) 2:3 ფერლი
ოგერშაიმი 1:0 ტრირი

### თურქეთი
**სუპერლიგა**
ბეშიქთაში 5:2 ძოჯაელი

### ინგლისი
**ასოციაციის თასი**
ლიდსი 1:1 ნორთჰემპტონი

### უნგრეთი
**ბორსოდი ლიგა**
უიპეშტი 1:1 დიორი

### ირლანდია
**პრემიერდივიზიონი**
გალვეი 3:0 ფინ ჰარპსი
ბრეი 4:3 დროჰედა
კორკი 0:0 სლიგო
სტ პატრიკსი 2:0 დუბლინი
შემროკი 1:1 დერი
**I დივიზიონი**
ფინგალი 0:1 მონაგანი
ლიმერიკი 1:2 კილდეირი
უოტერფორდი 0:1 შელბურნი

### პოლონეთი
**ესტრა კლასი**
ბელხატუვი 3:0 კრაკოვია
პოლონია (ბ) 1:0 ლეგია
**II დივიზიონი**
ზაგლებე 1:0 დოლკანი

### იტალია
**სერია B**
ტრევიზო 2:2 სალერნიტანა

### რუმინეთი
**I ლიგა**
ბუზაუ 0:2 უნ. კრაიოვა
უნირია 3:1 ოცელული

### უელსი
**პრემიერდივიზიონი**
აირბასი 2:3 ბანგორი
კერნარფონი 0:2 პორთმადოგი
პორტ ტალბოტი 4:6 ლანელი
ტნს 2:1 კონაჰი

### უკრაინა
**ვიშა ლიგა**
ხარკოვი 0:2 დნიპრო

### რუსეთი
**პრემიერლიგა**
ხიმკი 1:1 ტომი

### ჩეხეთი
**II დივიზიონი**
ვიტკოვიცე 0:1 დუკლა

### საფრანგეთი
**II დივიზიონი**
აიაჩო 2:1 გენგამი
ანჟერი 1:0 ამიენი
ბრესტი 4:0 ბასტია
შატორუ 1:1 სედანი
ნიმი 2:2 რეიმსი
ვანი 1:1 დიჟონი
კლერმონი 1:0 მეცი
სტრასბური 4:0 ტუარი
**III ლიგა**
კანი 2:1 როდეზი
შერბური 1:2 სუიზო
გენიონი 0:0 ნიორი
ისტრი 4:1 ეური
ლიბურნი 0:1 ლავალი
პარიზი 2:2 კარნო

### ჰოლანდია
**ერედივიზიონი**
გრააფსხაპი 0:2 ბრედა
**II დივიზიონი**
დორდრეხტი 0:1 დენ ბოსხი
ეინდჰოვენი 3:3 კამბური
ემენი 2:0 ჰაარლემი
ეძელსიორი 4:1 ვეენდამი
მაასტრიხტი 0:2 სიტარდი
როზენდალი 2:2 ვალვაიკი
ტელსტარი 3:1 ომნივოლდი
ოსი 0:2 იგლზი
ვენლო 3:1 აპელდორნი
ზვოლე 0:1 ჰელმონდი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს 20 ჩემპიონატი

უმაღლესი ლიგა

I წრე. 10 ტური


გია მეგრელაძემ (მარცხნივ) პირველი სამსეზონო გოლი გაიტანა


რუსთაველებმა გიორგი კახელიშვილს გასაქანი არ მისცეს

# ქვემო ქართლი რკინიგზის რისხვაა

ილია ნანობაშვილი

რუსთავის „ოლიმპმა" ვარლამ კილასონიას გამწვრთნელების შემდეგ მიჯრით სამი მატჩი გოლგაუშვებლად ჩაატარა, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვით, რუსთაველები ოპტიმალურ ფორმას მიუახლოვდნენ. რა აჩვენა გუშინ „ოლიმპმა"? განსაკუთრებული არაფერი, მაგრამ „ლოკომოტივის" დაცვის უხეში შეცდომებით ისარგებლა და მოიგო.

არა მარტო დაცვა — გიორგი კიკნაძის გუნდი მთლიანად მორყეული იყო, ტემპი დაბალზე დაბალი და არავითარი სიმწვავე შეტევაში. არადა, ჩემპიონატის ლიდერზე გვაქვს ლაპარაკი...

ვაკელები კვლავაც სატურნირო ცხრილის სათავეში დარჩნენ, მაგრამ ვეჭვობთ, ეს დიდხანს არ გასტანს: ოთხდღიან ინტერვალში ორი ქვემოქართლური კლუბი ესტუმრათ და ქულა ვერ აიღეს.

ქულას ვინ ჩივის, აბსოლუტურად უსუსურად წააგეს ჯერ „სიონთან", გუშინ კი „ოლიმპთან"...

გასაგებია, რომ ნიკა გუშარაშვილის ტრავმამ გუნდის დაცვა არია, ლევან ცქიტიშვილისა და ზვიად ჩხეტიანის არყოფნაც საგრძნობია, მაგრამ ასეთი შეცდომები?!

ის, რაც პირველი ტაიმის მიწურულს, ორწუთიან მონაკვეთში „ლოკომოტივის" უკანახაზელებმა „გამოძერწეს", მოხერხება უნდოდა: ჯერ იყო, თემურ ფარულავამ გაუკეთა „საგოლე პასი" გაგა ჩხეტიანს, რომელიც გიორგი ლომაიასთან პირისპირ დარჩა, მოატყუა და კარში რატომ არ დაარტყა, ალბათ, მარტო თვითონ იცის.

ფარულავას მალევე „აუბა მხარი" ლევან გრიგალაშვილმა, რომელმაც გია მეგრელაძეს ფეხებში მისცა ბურთი და „ოლიმპის" ფორვარდმაც პირველი საამსეზონო გოლი იოლად გაიტანა — 0:1.

მანამდეც რუსთაველები უფრო აქტიურობდნენ. გიორგი სეთურიძე გამოირჩეოდა, მარჯვნიდან რამდენჯერმე გაამწვავა შეტევა, მაგრამ ჯერ გიორგი ფეიქრიშვილმა ვერ დაუფასა, მერე კი ჩხეტიანმა. ორივე შემთხვევაში ლომაიამ იყოჩაღა.

მაგრამ ეს არაფერი იყო მეგრელაძის მომენტთან შედარებით, როცა ლომაიამ მკვდარი ბურთი გამოუძრო პირისპირ გასვლისას — კარგია, რომ საქართველოს ნაკრების მეკარე მშვენიერ ფორმაშია...

90 წუთის განმავლობაში ერთადერთხელ მიეცა „ლოკომოტივს" გატანის შანსი, ვიტალი დარასელიამ თავზე გადაუგდო მეკარე მირზა მერლანს, გიორგი ონიანმა ცარიელ კართან მიუსწრო ბურთს და გამოიტანა.

იტყვით, ბევრი მომენტი შეიქმნა და რას უწუნებთ მატჩსო, მაგრამ ეს ყველაფერი მცველთა უნიათობის გამო უფრო ხდებოდა. გააზრებული შეტევები კი, რა ვიცით, რა გითხრათ...

აი, მეორე ტაიმში გოლის გარდა თუ საინტერესო ეპიზოდს ვინმე გაგვახსენებს, მადლობელი დავრჩებით: სრულიად მოშლილი „ლოკომოტივი" რომ დაინახა, აღარც „ოლიმპმა" მოიკლა თავი. აბა, რაზეა ლაპარაკი, როცა ერთ-ერთი ფეხბურთელი, ბურთი რომ წაართვეს, ორჯერ დაჯდა მინდორზე და ისე უყურებდა თამაშს. სირბილზე აღარაფერს ვამბობთ, წამოდგომა ეზარებოდა...

0:2 როგორ გახდა, ესეც ვთქვათ და მოვრჩეთ: მასპინძელთა დაცვა დაიბნა, შოთა ბაბუნაშვილს საჯარიმოში ისე მიუვიდა ბურთი და ისე გაიარა 5-7 მეტრი, ხელი არავის შეუშლია. ოლიმპელმაც ოდნავ მახვილი კუთხიდან მაღალ კუთხეში დაურტყა ლომაიას.

საინტერესოა, რომ „ლოკომოტივს" სტუმრად ქულა არ დაუკარგავს, შინ კი უკვე მესამედ წააგო და სამივეჯერ იმ გუნდებთან, რომლებიც იმ პერიოდში ცხრილის ქვედა ნაწილში იყვნენ.

თბილისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. მ. მესხი. 150 მაყურებელი

### ლოკომოტივი 0:2 ოლიმპი

| |
|---|
| 0:1 მეგრელაძე (39), 0:2 ბაბუნაშვილი (67) |
| ლოკომოტივი: გ. ლომაია, დ. ფოფხაძე, ფარულავა, ლ. გრიგალაშვილი (ბებუა 46), სარალიძე, სამხარაძე, ჩირიკაშვილი, ი. გილაური (დ. ჩაგელიშვილი 64), კახელიშვილი, ვ. დარასელია (ბარბაქაძე 73), ალექსიძე სათადარიგონი: ბათიაშვილი; კაიშაური, ლ. ჩაგელიშვილი, ბუდალაშვილი მწვრთნელი: გიორგი კიკნაძე |
| ოლიმპი: მერლანი, გ. სეთურიძე, მაჭავარიანი, გ. ონიანი, აკუასაგა, დობროვოლსკი, ბაბუნაშვილი, თ. ლონლაძე, ფეიქრიშვილი (ფიფია 66), მეგრელაძე (კ. ალადაშვილი 72), გ. ჩხეტიანი (დეკანოსიძე 58) სათადარიგონი: სტურუა; ჩიკვილაძე, მიკუჩაძე მწვრთნელი: ვარლამ კილასონია |
| გაფრთხილება: კახელიშვილი (50), ფოფხაძე (66) |
| მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი, ზ. ჯვარიძე, ს. სპიცინი, ა. ნონიკაშვილი |

# სპარტაკმა დაიწყო, ზესტაფონმა დაამთავრა

გორი. 7 ნოემბერი. 14 საათი. ქართლი. 40 მაყურებელი

### სპარტაკი 1:2 ზესტაფონი

| |
|---|
| 1:0 შონია (16), 1:1 გელაშვილი (45პ), 1:2 იონანიძე (88) |
| სპარტაკი: ქვილითაია, კუპრეიშვილი (ბონდო გოცირიძე 33), ჯანგიძე, ვ. ქორიძე, კობახიძე, მამუკაშვილი, გ. ხიდეშელი (გოგოხია 77), თ. შონია, შალამბერიძე, ნ. მაისურაძე (მ. ლონლაძე 68), სირბილაძე სათადარიგონი: გ. იაშვილი, ოსეფაშვილი, თექთუმანიძე, ლ. დათუნაშვილი მწვრთნელი: სერგო გაბელაია |
| ზესტაფონი: რ. კვასხვაძე, უ. ლობჟანიძე, ს. თოდუა, ფრიდოლინი, რ. ონიანი, დაუშვილი (ჩასემი 55), გ. ხიდეშელი (იონანიძე 83), ძარია (ნ. კვასხვაძე 68), ბენაშვილი, ბექა გოცირიძე, გელაშვილი სათადარიგონი: ძაძამია, შ. ლონლაძე, ლომაშვილი, გ. ჭელიძე მწვრთნელი: თემურ მახარაძე |
| გაფრთხილება: ჯანგიძე (29), კობახიძე (31), მამუკაშვილი (34) |
| მსაჯები: ლ. სილაგავა, გ. ჩიგოგიძე, ო. მოლოდინაშვილი, ვ. გუმბერიძე |

ტარიელ შოთნიაშვილი გორიდან

წვიმის მიუხედავად, მატჩი საინტერესოდ ჩატარდა. სტუმრებმა თამაში ნელ ტემპში დაიწყეს. წინ მხოლოდ ნიკა გელაშვილი იყო, რამაც „სპარტაკს" შეტევაში წასვლის მეტი საშუალება მისცა, თუმცა „ზესტაფონი" ცენტრშივე დიდ წინააღმდეგობას უწევდა მასპინძლებს.

მე-7 წუთზე სტუმრებმა ორჯერ შეამოწმეს მაქსიმე ქვილითაიას სიფხიზლე — ჯერ როინ ონიანმა დაარტყა შორიდან ძლიერად, ხოლო შემდეგ, ასევე შორიდან, გიორგი ხიდეშელმა მიბაძა თანაგუნდელს...

მე-16 წუთზე კი მასპინძლები დაწინაურდნენ. მოედნის ცენტრთან ახლოს მურთაზ დაუშვილთან ორთაბრძოლაში ირაკლი სირბილაძე დაეუფლა ბურთს და იქვე თემურ შონიას გადააწოდა, რომელმაც წინ წაიწია და საჯარიმოს ხაზიდან ზუსტად დაარტყა მარჯვენა დაბალ კუთხეში — როინ კვასხვაძის ნახტომი ამაო გამოდგა — 1:0.

„სპარტაკი" კიდევ უფრო გათამამდა და 24-ე წუთზე ანგარიშის გაზრდას ცოტა დააკლდა — სირბილაძემ და ნიკა მაისურაძემ ერთმანეთში სწრაფი კომბინაცია გაითამაშეს, რასაც მაისურაძის გარღვევა და კარის გასწვრივ მწვავე ჩაწოდება მოჰყვა — სპარტაკელთა კაპიტანმა გიორგი ხიდეშელმა ოდნავ დააგვიანა ბურთზე გასვლა.

ამ მომენტის შემდეგ „ზესტაფონმა" ტემპს უმატა და თანდათან ხელთ იგდო უპირატესობა. 29-ე წუთზე „სპარტაკის" კარისაკენ ჯარიმა დაინიშნა. დაახლოებით 22 მეტრიდან ალექსი ბენაშვილმა უძლიერესად დაარტყა, მაგრამ მასპინძლები ხარიხამ გადაარჩინა.

ცოტა ხანში „სპარტაკი" ბექა გოცირიძის წაქცევისთვის საჯარიმოს კუთხესთან დაჯარიმდა. ბურთთან გოცირიძე მივიდა, კარგადაც დაარტყა, მაგრამ „სპარტაკს" კვლავ ფორტუნამ გაუღიმა — ბურთი ძელმა მოიგერია.

და მაინც, ტაიმის ბოლო წუთზე ანგარიში გათანაბრდა. გელაშვილის დარტყმული ბურთი ხელზე მოხვდა საჯარიმოში მყოფ ქორიძეს და არბიტრმაც უყოყმანოდ დანიშნა პენალტი, რომელიც გელაშვილმა ზუსტად შეასრულა — 1:1.

სტუმართა უპირატესობა კიდევ უფრო აშკარა შეიქნა მეორე ნახევარში, რომელიც მათი გამუდმებული შეტევებით დაიწყო.

54-ე წუთზე მასპინძელთა კარი კვლავ გადაურჩა გოლს. უჩა ლობჟანიძე კარგად გაიჭრა ფლანგზე და საჯარიმოში ჩააწოდა. დასწრებაზე მოთამაშე გოცირიძის თავურს ისევ ძელი გადაეღობა.

ზესტაფონელთა თავდამსხმელს გოლის გატანა ძალიან უნდოდა, თუმცა ამ მატჩში ბედი არ სწყალობდა.

71-ე წუთზე კვლავ სახიფათო მომენტი შეიქმნა „სპარტაკის" კართან. ონიანის ჩაწოდების შემდეგ გელაშვილმა ნახტომში დაარტყა, მაგრამ არაზუსტად.

სტუმრებმა შეცვლებს მიმართეს, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა მათი შეტევები. მე-80 წუთზე ნიკა კვასხვაძის გარღვევა კვლავ გოცირიძემ დაამთავრა კარში დარტყმით — ქვილითაიამ უშეცდომოდ ითამაშა.

მატჩიც თითქოს ფრედ უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ სტუმრებმა მაინც მიაღწიეს საწადელს. მოედანზე ახლადშესულმა ზურაბ იონანიძემ 88-ე წუთზე ერიკ რომეო ჩასემის ფლანგური ჩაწოდებისას ზუსტი თავურით მძიმე გამარჯვება მოუტანა თავის გუნდს — 1:2.

თბილისი. 8 ნოემბერი. 14 საათი. ამერი

### გაგრა — მესხეთი

მსაჯები: მ. ბეჟქლიშვილი, დ. კურტანიძე, ე. ნარმანია, ი. ურუშაძე

საქართველოს 20 ჩემპიონატი
უმაღლესი ლიგა
I წრე. 10 ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სიონი — ვიტ ჯორჯია: ფრე გადაღლილობაშიც



ირაკლი ბერიაშვილი (№10) ბოლნისში დუბლით გამოირჩა

ბოლნისი. 7 ნოემბერი. 14 საათი. თ. სტეფანია. 500 მაყურებელი

**სიონი 2:2 ვიტ ჯორჯია**

0:1 ბერიაშვილი (2), 1:1 სვანიძე (21), 2:1 იაშვილი (47), 2:2 ბერიაშვილი (59)

| | |
|---|---|
| **სიონი:** ქვაჩახია, ქემოკლიძე, დ. სვანიძე, შავგულიძე, ხუბუა, დიდავა (რ. გოცირიძე 50), ზ. ჭელიძე, სანიკიძე, ა. ალავიძე, კოშკაძე (დავითაშვილი 49), ი. შენგელია (ს. იაშვილი 38) *სათადარიგონი:* ბობლიაშვილი, გ. ჩივაძე, ლ. ბაჯელიძე, შ. ჯიქია **მწვრთნელი:** ოთარ კორღალიძე | **ვიტ ჯორჯია:** ბედიაშვილი, ჯაფარიძე, დ. ლომაია, ა. კვახაძე, ბეჭვაია, რაზმაძე, კლიმიაშვილი, გ. მელქაძე, გ. ჯანელიძე (მაისაშვილი 81), ლიპარტია (ყველაშვილი 66), ბერიაშვილი (ვ. კვარაცხელია 85) *სათადარიგონი:* ა. მიქაბერიძე, ი. სვანიძე, ვასაძე, დ. ხურცილავა **მწვრთნელი:** ნესტორ მუმლაძე |

**მსაჯები:** გ. კიკაჩეიშვილი, მ. ელიკაშვილი, კ. ბერაძე, დ. სანაია

**დამკვირვებელი:** მ. მალაღურაძე; **დირექტორი:** თ. კოსტავა

**ნუკრი ლოლაძე ბოლნისიდან**

**სანამ** თამაშის აღწერას დავიწყებდეთ, გვინდა, ერთ ფაქტს შევეხოთ. ქართულ ფეხბურთში ბევრი კლუბი როდია ისეთი, ეკიპირებას სათანადო ყურადღებას რომ აქცევს. კარგი სანახავია, როცა ბოლნისის „სიონის" ყველა წარმომადგენელი ერთნაირ სპორტულ სამოსშია გამოწყობილი. „ვიტ ჯორჯიაც" ზრუნავს ფეხბურთელთა ჩაცმა-დახურვაზე. ყველაზე მეტად კი, რაც გუშინ გულზე მოგვხდა, ის იყო, რომ „სიონის" ახალ სპორტულ ინვენტარს მთავარი აკლია — კლუბის ლოგო.

იმედი გვაქვს, რომ „სიონის" წარმომადგენლები ამას გაითვალისწინებენ.

...მატჩი მასპინძლებისთვის ძალიან ცუდად დაიწყო. უკვე მე-2 წუთზე მეკარის და მცველის უყურადღებობით ისარგებლა გიორგი ბერიაშვილმა და თავისი გუნდი წინ გაიყვანა — 0:1.

ამის მერეც ვიტელები აკონტროლებდნენ ბურთს და „სიონს" გასაქანს არ აძლევდნენ. ეგ იყო, ლევან სანიკიძემ დაარტყა კარში, თუმცა გრიგოლ ბედიაშვილის აღება არ გასჭირვებია.

მე-20 წუთზე გიორგი ჯანელიძე რამდენიმე ბოლნისელს გასცდა, ხელსაყრელ პოზიციაშიც აღმოჩნდა, მაგრამ საბოლოო დარტყმა სუსტი გამოუვიდა. „ვიტ ჯორჯია" მალევე დაისაჯა — არჩილ ალავიძის ჩაწოდებული კუთხური მცველებმა ხეირიანად ვერ გამოიტანეს და „სიონის" კაპიტანმა დავით სვანიძემ ახლოდან შეაგდო — 1:1.

ბოლნისელები გოლმა გამოაცოცხლა, განსაკუთრებით ირაკლი შენგელია აქტიურობდა. მისი დარტყმული გაჭირვებით მოიგერია ბედიაშვილმა, ბურთი ხარიხასაც მოხვდა და კუთხურზე გადავიდა. მალევე, ალექსანდრე კოშკაძის გადაცემის შემდეგ კიდევ ერთხელ სცადა შენგელიამ გატანა, მაგრამ აცილა. მერე კი მან ტრავმა მიიღო და შესაცვლელი გახდა.

შენგელიას ნაცვლად სანდრო იაშვილი გამოჩნდა.

მეორე ნახევრის დასაწყისი კი ვიტელებისთვის უსიამოვნო გამოდგა — იაშვილმა მცველს შეცდომა არ აპატია და მარცხენა ფეხით ძალიან ლამაზი გოლი გაიტანა.

ახლა უკვე თბილისელები დაფაცურდნენ. ჯაბა ლიპარტიას გადაცემის შემდეგ ირაკლი კლიმიაშვილმა დაარტყა კარში, თუმც ზურაბ ქვაჩახია საიმედოდ გაისარჯა. ჯანელიძის დარტყმულს მცველი გადაეღობა...

ამის მერე „სიონმა" შექმნა ხიფათი. გელა ხუბუას მარცხნიდან ჩაწოდებული ბურთი კარისკენ წავიდა და ხარიხას მოხვდა. შეტევა რევაზ გოცირიძემ გააგრძელა, თუმც ბურთი გარედან მოარტყა ბადეს. ორ წუთში კი ნესტორ მუმლაძის შეგირდებმა კარგი კომბინაცია გაითამაშეს და გოლადაც აქციეს — რაზმაძე-ლიპარტია-ბერიაშვილის კოხტად გათამაშებული შედეგიანად დაგვირგვინდა და 2:2.

მატჩის დასრულებამდე საკმაო დრო იყო, თუმც არც ერთ გუნდს დიდი ძალებით აღარ შეუტევია.

88-ე წუთზე კი მასპინძლებს გამარჯვების გოლის გატანა შეეძლოთ — სანიკიძის ჩაწოდების მერე გოცირიძის თავური უხეირო გამოდგა.

**პრესკონფერენცია**

*ნესტორ მუმლაძე:* დაძაბული მატჩი იყო — „ვიტ ჯორჯიამ" ისეთი თამაში ვერ აჩვენა, როგორიც მინდოდა, სისწრაფეში მოვიკოჭლებდით, რაც გადაღლილობის ბრალია. „სიონი" ყველა რგოლში კარგად დაკომპლექტებული გუნდია და საერთო ჯამში უკმაყოფილი არც ვარ.

*ოთარ კორღალიძე:* მეტოქემ რომ ვერ ითამაშა, ეს ჩემი ფეხბურთელების დამსახურებაა. გადაღლილობის ბრალია, რომ ფეხბურთელებს აგრესია აკლდათ. შენგელიას და დიდავას ძველი ტრავმები გაუმიზეზდათ და ამიტომაც შევცვალე.

# ორჯერ შეწყვეტილი თამაში
## შეროზია მსაჯებს გადასწვდა, ცობელი კი ფედერაციას

ზუგდიდი. 7 ნოემბერი. 14 საათი. გ. თუთბერიძე. 2 200 მაყურებელი

**მგლები 0:1 დინამო**

0:1 ოდიკაძე (63)

| | |
|---|---|
| **მგლები:** მამალაძე, ჭითანავა, აქუბარდია, ხუხია, ა. ბაჯელიძე, გუჩუა, ჯოჯუა, გულორდავა, ლომია, დარსანია (ხურციძე 83), გ. მიქაბერიძე (ქუცურუა 75) *სათადარიგონი:* ქალდანი, კ. გოგოხია, კ. ჯიშკარიანი, ხაჩიძე, გულუა **მწვრთნელი:** ბესიკ შეროზია | **დინამო:** ოვონო, თომაშვილი, გ. კაშია, კრშკო, ელიავა, ოდიკაძე, დილმელაშვილი, ხმალაძე, გველესიანი (ფირცხალავა 76), გ. მერებაშვილი (შ. კაშია 90), ვაწაძე *სათადარიგონი:* ლორია, ნერგაძე, ნ. ჯიშკარიანი, სპასოევიჩი, ჯიუსი **მწვრთნელი:** რაინერ ცობელი |

**გაფრთხილება:** აქუბარდია (63), ლომია (90), ფირცხალავა (90)

**მსაჯები:** მ. ურუშაძე, ზ. ხუციშვილი, დ. კვეტენაძე, ო. ხეცაძე

**დელეგატი:** ს. ფილია

**სოსო გულუა ზუგდიდიდან**

**ზუგდიდში** მთელი ღამე და დღის პირველი ნახევარი წვიმდა.

მართალია, შეხვედრის დაწყებამდე გამოიდარა, მაგრამ ამან გაფუჭებულ მინდორს ვერაფერი უშველა. სწორედ ამიტომ, ორივე გუნდმა აქცენტი უფრო ძალისმიერ თამაშზე გადაიტანა.

მასპინძლებმა მალე აუღეს ალღო სიტუაციას და ტოლი არაფერში დაუდეს მეტოქეს.

თამაში „მგლების" შეტევებით დაიწყო და 20-30 წუთის განმავლობაში მასპინძლები აქტიურობდნენ, სტუმრები კი კონტრშეტევებზე ცდილობდნენ მეტოქის გამოჭერას.

მე-4 წუთზე მასპინძლებმა პირველი კუთხური ჩააწოდეს, მაგრამ დიდიე ოვონომ ყველას დაასწრო.

მე-10 წუთზე გიორგი გულორდავამ მარჯვენა ფრთიდან ჩააწოდა — სტუმართა დაცვამ იმარჯვა და ბურთი საჯარიმოდან გამოიტანა. ორიოდ წუთში გიორგი მიქაბერიძემ დაარტყა არაზუსტად.

მერე სტუმრებმაც გამოიღეს ხელი და თამაში „მგლების" ნახევარზე გადაიტანეს. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა მათე ვაწაძე, რომლის უძლიერესი დარტყმა ზურაბ მამალაძემ კუთხურზე მოიგერია

38-ე წუთზე დავით ოდიკაძემ დაარტყა არაზუსტად, მე-40-ზე ისევ ვაწაძე — ისევ არაზუსტად.

ამის შემდეგ ისევ „მგლებმა" შეუტია და ინიციატივა ტაიმის ბოლომდე არც დაუთმია.

მეორე ნახევარიც პირველის მსგავსი გამოდგა. მასპინძლები ბევრს უტევდნენ, მაგრამ დამაგვირგვინებელი, ზუსტი დარტყმა არა და არ ჩანდა. „დინამომ" კი 63-ე წუთზე ელვისებური კომბინაცია გაითამაშა, რაც ოდიკაძემ გოლით დააგვირგვინა — 0:1.

ზუგდიდელები ამის შემდეგაც უტევდნენ, მაგრამ ანგარიშის გათანაბრება ვერა და ვერ შეძლეს.

ბოლოსკენ თამაში ორჯერ შეწყდა — ჯერ მასპინძელთა ქომაგმა მოინდომა მოედანზე განავარდება, რამაც ორი-სამი წუთი „შეიწირა", მერე კი ფეხბურთელები წაკინკლავდნენ, თუმცა ვნებათაღელვა მალევე ჩაცხრა...

**პრესკონფერენცია**

*რაინერ ცობელი:* დღეს ღმერთმა გადმოგვხედა და გავიმარჯვეთ. თუმცა ეს უძნელესი იყო. ფეხბურთის ფედერაციამ უნდა იზრუნოს რეგიონებში მინდვრების გაუმჯობესებაზე, თორემ ასეთ მოედნებზე თამაში შეუძლებელია. რაც შეეხება მსაჯობას, იყო შეცდომები და ეს ალბათ მსაჯის ნერვიულობას უნდა მივაწეროთ.

*ბესიკ შეროზია:* პირდაპირ გეტყვით — დღეს „მგლებს" 14 კაცი ეთამაშებოდა, პლუს მეთხუთმეტე, ვინც ეს მსაჯთა ბრიგადა დანიშნა. სწორედ მსაჯებმა გამოიწვიეს მატჩის ბოლოს კონფლიქტი ფეხბურთელებს შორის და ვფიქრობ, ეს არავისთვის იყო არც სასიამოვნო და არც სასარგებლო. ბოლო თამაში „მესხეთთან" შინ 0:2 წავაგეთ, მაგრამ არავის მიმართ უკმაყოფილება არ გამოგვიხატავს, დღეს კი მეტისმეტი მოუვიდათ, რაც გულდასაწყვეტია.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლოკომოტივი | 9 | 6 | 0 | 3 | 13:6 | 18 |
| ვიტ ჯორჯია | 9 | 5 | 3 | 1 | 12:7 | 18 |
| ზესტაფონი | 9 | 5 | 2 | 2 | 19:5 | 17 |
| დინამო | 9 | 5 | 1 | 3 | 15:10 | 16 |
| სიონი | 9 | 3 | 4 | 2 | 9:6 | 13 |
| მგლები | 9 | 4 | 0 | 5 | 10:9 | 12 |
| ოლიმპი | 9 | 2 | 5 | 2 | 7:7 | 11 |
| ბორჯომი | 9 | 2 | 4 | 3 | 10:14 | 10 |
| მესხეთი | 8 | 2 | 4 | 3 | 7:9 | 9 |
| გაგრა | 9 | 2 | 2 | 5 | 7:14 | 8 |
| სპარტაკი | 9 | 1 | 0 | 8 | 6:19 | 3 |

# ჩელსი მეორადებში




მაიკლ ოუენი

**ამას** ვინ იფიქრებდა: „ჩელსი“ იანვარს ელის, რათა „ნიუკასლ იუნაიტედისგან“ მაიკლ ოუენი იყიდოს. ადრეც ვთქვით, რომ მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი ყველას შეეხო, მათ შორის „ლურჯებსაც“ და აი, დასტურიც: ლონდონელთა მწვრთნელ ლუიშ ფელიპე სკოლარის კლუბის უფროსობამ გამოუცხადა, რომ სატრანსფერო ბიუჯეტი 10 მილიონ გირვანქამდეა შემცირებული. და რა ღირს 28 წლის მაიკლ ოუენი? იმის გათვალისწინებით, რომ ეს ფეხბურთელი ზაფხულში თავისუფალი აგენტი გახდება, ანუ კონტრაქტის ვადა ეწურება და შეუძლია, ქუდი ისე დაიხუროს, ნიუკასლელებს პენიც არ შეახვედროს, „ჩელსი“ მასში 3-5 მილიონის გადახდას ფიქრობს.

როგორც ჩანს, სკოლარის მაღალი კლასის კიდევ ერთი ფორვარდის ყიდვით დიდიე დროგბასა და ნიკოლა ანელკას დასაზღვევად განუზრახავს. ზოგადად, ცნობილია, რომ ოუენზე მეტად, ბრაზილიელ მწვრთნელს ლუიშ ფაბიანუს ყიდვა სურდა, მაგრამ სევილიელებმა რომ გაიგეს, „ჩელსის“ უნდაო, მოთამაშე 25 მილიონი დააფასეს.

ოუენის ყიდვას კიდევ ერთი სირთულე ახლავს — ინგლისელ ფორვარდს ხშირტრავმიანობა ახასიათებს, მაგრამ ლონდონელები „ნიუკასლ'ში“ ოფიციალური განაცხადის შეტანამდე მის ჯანმრთელობაზე სერიოზულ დაკვირვებას აპირებენ.

ახლა ისაც ვთქვათ, რამდენს გადაუხდიან ლონდონელები ევროპის ყოფილ საუკეთესო ფორვარდს — „კაჭკაჭები“ მას კვირაში 108 ათასს აძლევენ. ახლავე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ფორვარდს „ჩელსიში“ ასეთივე ჯამაგირის იმედი არ უნდა ჰქონდეს. ამის მიზეზი ორია: ერთი, საკუთრივ ლონდონელთა ოფისის ფინანსური რესტრუქტურიზაცია და მეორე, ამ სეზონში ოუენის მიერ ჩატარებული მატჩების რაოდენობა. „სტემფორდ ბრიჯიდან“ გამოსული ხმების თანახმად, „ლურჯები“ ოუენს სტაბილურ 60 ათასს და 100 ათასიან პრემიალურს შესთავაზებენ.

ამბობენ, რომ ოუენის შეძენის საქმეში „ჩელსის“, შესაძლოა, კონკურენტი გამოუჩნდეს — „ტოტენჰემ ჰოთსპური“. „სფურზის“ ახალ თავკაც ჰარი რედნაპს კარგად მოეხსენება, რომ ამ თავდამსხმელის ყიდვა უფრო იაფი დაუჯდება, ვიდრე ჯერმეინ დეფოსი, რომელსაც „პორტსმუთი“ 12 მილიონს უფასებს.

ამასობაში კი, ოუენმა საზარდულის ტრავმა მოიშუშა და სანამ სხვა გუნდში გადასულა „ნიუკასლისას“ ჩივის:

„ჩვენ ვიცით, რომ სოლიდური გუნდი ვართ და თუ კარგად ავეწყო, მეშვიდე, მეექვსე ან მეხუთე ადგილი მიუღწეველი ნამდვილად არ არის“.

**ბაპუნა ქიდია**




# ოოოო, რა კარგად ვჩხუბობდით მაშინ

**ფრანგი** ვარსკვლავი პატრიკ ვიეირა ამბობს, რომ მისი ყოფილი გუნდის, ლონდონის „არსენალისა“ და „მანჩესტერ იუნაიტედის“ ძველი მტრობა ღიმილით აგონდება. კიდევ, ვიეირა „ოლდ ტრეფორდის“ გასახდელში რუუდ ვან ნისტელროოისთან ჩხუბს იგონებს და ამბობს, რომ ის ძალიან სახალისო რამ იყო, როი კინთან დაპირისპირება კი „ამაღელვებელი და კარგი“.

დღეს მილანის „ინტერის“ ნახევარმცველი, „არსენალში“ ცხრა წლის განმავლობაში თამაშობდა და ვის, თუ არა მას მოეხსენება, ვისთან თამაშს ელოდნენ „მეთოფეები“ ყველაზე დიდი ინტერესით და მოუთმენლად.

„იმ წლებში, როდესაც „არსენალში“ გამოვდიოდი, ინგლისის საუკეთესო გუნდი „მანჩესტერ იუნაიტედი“ გახლდათ, რადგან ზედიზედ ოთხი თუ ხუთი წლის განმავლობაში ჩემპიონი ხდებოდა. „იუნაიტედსა“ და „არსენალს“ შორის მართლაც დიდი დაპირისპირება იყო და უკლებლივ ყოველი თამაში ძნელი გამოდიოდა. ეს შეხვედრები სავსე იყო დაძაბულობით, კამათით და კინკლაობით, მაგრამ ეს ყველაფერი მეტად საინტერესო გახლდათ. „მანჩესტერ იუნაიტედთან“ თამაში ძალიან მიყვარდა. გაწევ-გამოწევაც იყო. ეს ხან მოედანზე ხდებოდა, ხან გასახდელში, მაგრამ დღეს მისი მოგონება ღიმილს მგვრის“.

პატრიკ ვიეირას ყველაზე ცუდი მომენტი 2003 წლის „მანჩესტერი“ — „არსენალის“ დროს დაუდგა. მაშინ, რუუდ ვან ნისტელროოისთან წაჩხუბების გამო, ის მოედნიდან გააძევეს. გაწევ-გამოწევა მატჩის შემდეგ, გასახდელისკენ მიმავალ გვირაბშიც გაგრძელდა.

„მანჩესტერში ვთამაშობდით. მე რუუდ ვან ნისტელროოისთან ორთაბრძოლაში შევედი, ის კი ისე მოიქცა, გეგონება, კინოს უღებდნენ. ამის გამო მსაჯმა გამაძევა. ძალიან გავბრაზდი. მატჩის შემდეგ ვან ნისტელროოი ავტობუსთან ვნახე და ერთმანეთს რაღაცები ვუთხარით. ახლა რომ მახსენდება, ძალიან სასაცილოა ეს ყველაფერი“.

კიდევ ერთი ჩხუბი 2005 წელს იყო, გასახდელის ახლომახლოს. ვიეირა იგონებს, რომ ტრადიციისამებრ, მანჩესტერელი გარი ნევილი რობერ პირესს ეუხეშებოდა, რის გამოც მან ნევილს მორიგი შეხვედრის დაწყების წინ ერთი-ორი გამაფრთხილებელი სიტყვა უთხრა. ამის გამო ურთიერთობა როი კინთან გაუმწვავდა.

„კინის წინააღმდეგ ბევრჯერ მითამაშია, მაგრამ პირველი, რაც მახსენდება, „ჰაიბერიზე“ დატრიალებული ამბავი იყო. თამაშის წინ გარი ნევილს ვუთხარი რაღაც. ნევილი ხომ ყოველთვის უხეშობდა პირესის წინააღმდეგ. ამის დანახვაზე, რასაკვირველია, კინი მოვიდა და თანაგუნდელის დაცვა დაიწყო. მივდიოდით გვირაბში და ერთმანეთს ვემუქრებოდით. ეს ძალიან ამაღელვებელი და კარგი გახლდათ“.

**ბაპუნა ქიდია**

# ინგლისი სუსტი თოფი

| XII ტური |
| --- |
| **დღეს** |
| არსენალი — მანჩესტერი |
| უიგანი — სტოკი |
| ჰალი — ბოლტონი |
| სანდერლენდი — პორტსმუთი |
| ვესტ ჰემი — ევერტონი |
| ლივერპული — ვესტ ბრომვიჩი |
| **ხვალ** |
| ასტონ ვილა — მიდლსბრო |
| ბლექბერნი — ჩელსი |
| ფულემი — ნიუკასლი |
| სიტი — ტოტენჰემი |

**2005 წლის** თებერვლის შემდეგ „მანჩესტერს“ „არსენალი“ სტუმრად არ დაუმარცხებია, მაგრამ „მეთოფეები“ ახლა გვარიანად დასუსტებულნი არიან.

მთავარმცველე ემანუელ ადებაიორი ტრავმირებულია, თეო უოლკოტის, ვილიამ გალასის, ბაქარი სანიას და მიკაელ სილვესტრის თამაში საეჭვოა. რობინ ვან პერსი დისკვალიფიცირებულია.

„არსენალს“ ზედიზედ ბოლო სამ მატჩში არ მოუგია, „მანჩესტერი“ კი მიჯრით ექვს შეხვედრაში არ დამარცხებულა.

„ევერტონმა“ პრემიერლიგის ბოლო ორ ტურში ისე მოიგო, რომ გოლი არ გაუშვა და „ვესტ ჰემს“ ესტუმრება, რომელმაც 27 სექტემბრის აქეთ გამარჯვების გემო არ იცის. „ჩაქუჩებმა“ გასულ სეზონში „ევერტონთან“ ქულაზე მეტი ვერ აიღეს.

„ვესტ ჰემს“ კარლტონ კოული არ ეყოლება, ხოლო „ევერტონს“ — მარუან ფელაინი, რომლის გოლებითაც ბოლო ორი თამაში მოიგო.

ჰარი რედნაპისგან მიტოვებულ „პორტსმუთს“ ზედიზედ ხუთ მატჩში არ მოუგია და „სანდერლენდს“ ეწვევა, სადაც ბოლოს 2005-ში 4:1 იმარჯვა. „სანდერლენდმა“ ბოლო ორ ტურში ისე წააგო, რომ გოლი ვერ გაიტანა.

„ლივერპული“ გასულ ტურში „ტოტენჰემთან“ სტუმრად დამარცხდა და ჩემპიონთა ლიგაში შინ „ატლეტიკოს“ დაუზავდა, მაგრამ დღეს „ვესტ ბრომვიჩს“ თუ მოუგებს, მდევარ „ჩელსისთან“ სხვაობას გაზრდის. „ლივერპულს“ ალბათ ფერნანდო ტორესი დაუბრუნდება, რომლის თამაშიც რაფაელ ბენიტესმა „ატლეტიკოსთან“ არ გარისკა. „ვესტ ბრომვიჩმა“ „ენფილდზე“ ბოლოს 1967 წელს მოიგო.

პრემიერლიგის დებიუტანტმა „ჰალმა“ ორ ბობოლასთან — „ჩელსისა“ და „მანჩესტერთან“ — წააგო და დღეს „ბოლტონს“ უმასპინძლებს, რომელსაც კაპიტანი კევინ ნოლანი დააკლდება.

ჰარი რედნაპის ხელში წელგამართული „ტოტენჰემი“ მანჩესტერში „სიტის“ ესტუმრება. „ღეზებმა“ ახალი მწვრთნელის თავკაცობით „ბოლტონს“ სძლიეს, „არსენალს“ ქულა წაართვეს (4:4), აპრილის მერე დაუმარცხებელი „ლივერპული“ ბეჭებზე გააკრეს (2:1) და უეფას თასზე გუშინწინ ზაგრების „დინამოსაც“ 4:0 სძლიეს.

„სიტის“ შინ „ტოტენჰემის“ დამარცხება უჭირს და 1993 წლიდან მხოლოდ ორჯერ მოუგო.

ბოლო ოთხ ტურში სამი მატჩის მომგები „სტოკი“ „უიგანს“ ჩააკითხავს, რომელმაც წინა ტურში „პორტსმუთს“ სტუმრად 2:1 სძლია.

ჯო კინეარის „ნიუკასლი“ ისე გამოსწორდა, რომ ბოლო ორი საშინაო მატჩი მოიგო და ხვალ „ფულემს“ ჩააკითხავს, რომელიც გასულ სეზონში ორჯერ ისე დაამარცხა, გოლი რომ არ გაუშვია.

27 სექტემბრის აქეთ მოუგებელი „ბლექბერნი“ „ჩელსის“ უმასპინძლებს. „ბლექბერნს“ „ჩელსი“ შინ 2006-ის მაისის მერე არ დაუმარცხებია. სამაგიეროდ, მას შემდეგ ექვსი ჯახიდან რომან აბრამოვიჩის კლუბმა ხუთი მოიგო და მხოლოდ ერთხელ გაუყო ქულა მეტოქეს.

უკვე ხუთი ტურია, „ბლექბერნმა“ პრემიერლიგაში გამარჯვების გემო არ იცის, „ჩელსიმ“ კი ჩემპიონატში ბოლო ორი გასვლითი თამაში ისე მოიგო, რომ გოლი არ გაუშვია.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
| --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- | --- |
| 1 ჩელსი | 11 | 8 | 2 | 1 | 27:4 | 23 | 26 | 6 | 3 | 2 | 1 | 13:3 | 10 | 11 | 5 | 5 | 0 | 0 | 14:1 | 13 | 15 |
| 2 ლივერპული | 11 | 8 | 2 | 1 | 16:8 | 8 | 26 | 5 | 4 | 1 | 0 | 8:4 | 4 | 13 | 6 | 4 | 1 | 1 | 8:4 | 4 | 13 |
| 3 მანჩესტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 11 | 21 | 5 | 4 | 1 | 0 | 13:4 | 9 | 13 | 5 | 2 | 2 | 1 | 6:4 | 2 | 8 |
| 4 არსენალი | 11 | 6 | 2 | 3 | 23:12 | 11 | 20 | 5 | 3 | 1 | 1 | 12:7 | 5 | 10 | 6 | 3 | 1 | 2 | 11:5 | 6 | 10 |
| 5 ასტონ ვილა | 11 | 6 | 2 | 3 | 19:14 | 5 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 9:5 | 4 | 11 | 6 | 3 | 0 | 3 | 10:9 | 1 | 9 |
| 6 ჰალი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:18 | -1 | 20 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:11 | -6 | 7 | 6 | 4 | 1 | 1 | 12:7 | 5 | 13 |
| 7 ევერტონი | 11 | 4 | 3 | 4 | 15:19 | -4 | 15 | 6 | 1 | 2 | 3 | 6:11 | -5 | 5 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:8 | 1 | 10 |
| 8 მიდლსბრო | 11 | 4 | 2 | 5 | 11:16 | -5 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:9 | -2 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:7 | -3 | 4 |
| 9 პორტსმუთი | 11 | 4 | 2 | 5 | 11:17 | -6 | 14 | 6 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:11 | -8 | 4 |
| 10 სიტი | 11 | 4 | 1 | 6 | 23:18 | 5 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 15:6 | 9 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 8:12 | -4 | 4 |
| 11 ვესტ ჰემი | 11 | 4 | 1 | 6 | 15:19 | -4 | 13 | 5 | 3 | 0 | 2 | 10:8 | 2 | 9 | 6 | 1 | 1 | 4 | 5:11 | -6 | 4 |
| 12 სტოკი | 11 | 4 | 1 | 6 | 13:19 | -6 | 13 | 6 | 4 | 0 | 2 | 10:9 | 1 | 12 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:10 | -7 | 1 |
| 13 ბლექბერნი | 11 | 3 | 4 | 4 | 13:20 | -7 | 13 | 5 | 1 | 2 | 2 | 3:8 | -5 | 5 | 6 | 2 | 2 | 2 | 10:12 | -2 | 8 |
| 14 ნიუკასლი | 11 | 3 | 3 | 5 | 14:18 | -4 | 12 | 6 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 2 | 10 | 5 | 0 | 2 | 3 | 5:11 | -6 | 2 |
| 15 სანდერლენდი | 11 | 3 | 3 | 5 | 9:16 | -7 | 12 | 5 | 2 | 1 | 2 | 5:6 | -1 | 7 | 6 | 1 | 2 | 3 | 4:10 | -6 | 5 |
| 16 ფულემი | 10 | 3 | 2 | 5 | 8:9 | -1 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 10 | 5 | 0 | 1 | 4 | 2:6 | -4 | 1 |
| 17 უიგანი | 11 | 3 | 2 | 6 | 13:16 | -3 | 11 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 4 | 6 | 2 | 1 | 3 | 10:8 | 2 | 7 |
| 18 ბოლტონი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:13 | -3 | 11 | 6 | 2 | 2 | 2 | 6:5 | 1 | 8 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 |
| 19 ვესტ ბრომვიჩი | 11 | 3 | 2 | 6 | 10:18 | -8 | 11 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:11 | -3 | 7 | 5 | 1 | 1 | 3 | 2:7 | -5 | 4 |
| 20 ტოტენჰემი | 11 | 2 | 3 | 6 | 13:17 | -4 | 9 | 6 | 2 | 1 | 3 | 6:6 | 0 | 7 | 5 | 0 | 2 | 3 | 7:11 | -4 | 2 |

## პიპოს ახალი კონტრაქტი

**ვეტერანმა** იტალიელმა ფილიპო ინძაგიმ „მილანთან" კონტრაქტი გაახანგრძლივა. გუნდის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ სპეციალურ განცხადებაში წერია, რომ პიპო „როსონერიში" 2010 წლის 30 ივნისამდე დარჩება.

35 წლის ფორვარდმა, რომელიც „მილანმა" 2001 წელს „იუვენტუსისგან" შეიძინა, გუნდთან ერთად 2004-ში იტალიის ჩემპიონატი და 2007-ში ჩემპიონთა ლიგა მოიგო.

„ძალიან გახარებული ვარ. კონტრაქტი ყოველგვარი პრობლემების გარეშე გავაფორმეთ. ასე რომ, ყველაფერი ძველებურად რჩება" — განაცხადა ინძაგიმ.

იტალიელ თავდამსხმელს „მილანის" მაისურით ჩატარებულ 222 შეხვედრაში 103 გოლი აქვს გატანილი.

**გაგა ლოგუაშვილი**

## მიკაელ ესიენი მარტს ვარაუდობს

**განის** ნაკრებისა და ლონდონის „ჩელსის" ნახევარმცველმა მიკაელ ესიენმა სექტემბერში ლიბიასთან მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში მუხლის ტრავმა მიიღო, რომელიც შემდგომში საკმაოდ სერიოზული გამოდგა. „ლურჯების" დამრიგებელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ თავდაპირველად განცახად, რომ მიკაელი მოედანს იანვარში დაუბრუნდებოდა, თუმც თვითონ ფეხბურთელი თავის მდგომარეობას უფრო პრაქტიკულად აფასებს და თვლის, რომ სრულ რეაბილიტაციას მხოლოდ მარტში მოახერხებს.

„ასეთი სერიოზული ტრავმა კარიერაში პირველად მივიღე. ახლა რთულია იმაზე საუბარი, თუ როდის დავუბრუნდები მოედანს. რეაბილიტაციის პერიოდი, სავარაუდოდ, 4-6 თვეს გასტანს" — აღნიშნა 25 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ამჟამად კლერფონტენში, ფერნან სასტრის ცენტრში მკურნალობს.

## ექიმმა ბაიერნი დატოვა

**ბავარიელთა** აწ უკვე ყოფილი მთავარი ექიმი ჰანს-ვილჰელმ მიულერ-ვოლფარტი 31-წლიანი პრაქტიკის შემდეგ თანამდებობიდან გადადგა და ამიერიდან ამ პოსტზე დოქტორი რიუდიგერ დეგვერტი იმუშავებს. მიულერ-ვოლფარტი მიუნხენის „ბაიერნში" 1977 წელს ბერლინის „ჰერტადან" გადავიდა და მას შემდეგ ორთოპედიის და სპორტული მედიცინის სფეროში თავი უმაღლესი დონის სპეციალისტად წარმოაჩინა.

**არჩილ ძოგახიძე**

## რას უჩივის კაპელოს შილტონი?



დევიდ ბექემი და ფაბიო კაპელო

**19 ნოემბერს** ინგლისის ნაკრები გერმანიისას უნდა შეხვდეს და საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ ამ შეხვედრაში დევიდ ბექემი ვერ ითამაშებს. რას უნდა ნიშნავდეს ეს?

ამბობენ, რომ ინგლისელთა ყოფილი კაპიტანი, რომელსაც ბობი მურის შედეგამდე (108 შეხვედრა ეროვნულ გუნდში) ერთი კეპი აკლია, მისი ამერიკული გუნდის, „ლოს ანჯელეს გელექსის" MLS-ის პლეი ოფებს მიღმა დარჩენის გამო ისჯება.

დიახ, 33 წლის დევიდ ბექემს აგერ უკვე სამი კვირაა, ნამდვილი ფეხბურთი არ უთამაშია და ამიტომ, ინგლისელთა შეფებმა ფაბიო კაპელოს ხელმძღვანელობით გადაწყვიტეს, ბერლინში დანიშნული პრესტიჟული შეხვედრისთვის ის არ გამოიძახონ.

არადა, ადრე კაპელომ მიანიშნა, რომ ბექემი, შესაძლოა, გერმანიასთან ეთამაშებინა, თებერვალში ევროპის ჩემპიონ ესპანელებთან კი არა. დღეს სიტუაცია სხვანაირად ჩანს. სავარაუდოდ, ორ კვირაში ბერლინისკენ ინგლისის ნაკრები და 7 ათასი ფანი მის გარეშე გაემგზავრება.

მაშ, როდისღა უნდა გადაასწროს ბექემმა მურს?

საქმე ის გახლავთ, რომ ინგლისი საქართველო არ არის და ის, რასაც ვეტერანი ასე ელოდება, ხელოვნურად, შესაძლოა, არც არასოდეს მოხდეს. ასე რომ, გამოსავალი სხვაა: დევიდ ბექემი, მოგეხსენებათ, 7 იანვარს „მილანში" გადადის და თუ იქ თავს გამოიჩენს, კაპელო მას მომდევნო მატჩებში ათამაშებს.

ამასთან დაკავშირებით, კიდევ ერთი საკითხი: რატომ ანიჭებენ ინგლისელები ბობი მურის შედეგს ამხელა მნიშვნელობას? განა მათი ქვეყნის ნაკრებში რეკორდი 108 თამაშია? განა არ არსებობდა პიტერ შილტონი, რომელმაც ეროვნული გუნდის ღირსება 125-ჯერ დაიცვა?

არსებობდა, როგორ არა, მაგრამ შილტონი მეკარე გახლდათ, გამძლეობის თვალსაზრისით კი წინ და უკან მორბენალი კაცის მდგომარეობა სხვაა... ასე რომ, მურის შედეგი მაინც სხვაა.

ისე კი, შილტონი კაპელოს უჩივის, ბექემს სათადარიგოთა სკამიდან ხშირად ათამაშებს და თამაშების რაოდენობას დაუმსახურებლად, ნაცნობობით უზრდისო...

**კაკუნა ძიდია**

| XII ტური |
|---|
| **გუშინ** |
| კიოლნი — ჰანოვერი |
| ანგარიში იხილეთ მეორე გვერდზე |
| **დღეს** |
| ჰამბურგი — დორტმუნდი |
| ვოლფსბურგი — კოტბუსი |
| კარლსრუე — ლევერკუზენი |
| ბოხუმი — ვერდერი |
| არმინია — გლადბახი |
| **ხვალ** |
| აინტრახტი — შტუტგარტი |
| ჰერტა — ჰოფენჰაიმი |
| შალკე — ბაიერნი |

## გერმანია

## შალკე — ბაიერნი ჰოფენჰაიმის ჩრდილში

**ტურის** მთავარი თამაში „შალკე" — „ბაიერნი" იქნებოდა, ესენი ცხრილის თავში რომ ყოფილიყვნენ, მაგრამ „ჰოფენჰაიმის" სასწაულებმა ხსენებული მატჩი ოდნავ მიჩრდილა.

რა ჰოფენჰაიმობაც უნდა იყოს ბუნდესლიგაში, „შალკე" — „ბაიერნი" მაინც მძიმეწონიანია, მით უმეტეს, რომ 4 ოქტომბრის მერე არცერთი არ დამარცხებულა.

რაც შეეხება ურთიერთშეხვედრებს, „შალკეს" „ბაიერნისთვის" 2005 წლის მარტის მერე არ მოუგია. იმ მარცხიდან ეს გუნდები ცხრაჯერ დაეჯახნენ და „ბაიერნმა" ექვსჯერ იმარჯვა.

„შალკეს" დისკვალიფიცირებული ენგელაარი დააკლდება, მიუნხენელებს კი სანიოლი, ჰამით ალთინთოფი და ფილიპ ლამი. შესაძლოა, ძირითად შემადგენლობაში ლუკა ტონი გამოჩნდეს. ბასტიან შვაინშტაიგერის თამაში საეჭვოა.

ზედიზედ ხუთ ტურში წამგები „კარლსრუე" მიჯრით ოთხის მომგებ „ლევერკუზენს" უმასპინძლებს. ამ ოთხ მატჩში „ფარმაცევტებს" გოლი არ გაუშვიათ. ბოლო ექვს მატჩში „კარლსრუეს" „ლევერკუზენი" არ დაუმარცხებია.

ბრემენის „ვერდერი" ჩემპიონთა ლიგაში „პანათინაიკოსთან" შინ შერცხვა (0:3) და კლუბის გენერალურმა მენეჯერმა კლაუს ალოფსმა თქვა, რომ ვინც თამაშში ჯიგარს არ ჩადებს, გუნდიდან დაითხოვს.

„ვალდებულები ვართ, შაბათს გაცილებით უკეთ ვითამაშოთ — თქვა „ვერდერის" კაპიტანმა ფრანკ ბაუმანმა — „პანათინაიკოსთან" მარცხისგან უნდა ვისწავლოთ და იგივე შეცდომები არ გავიმეოროთ".

„ბოხუმს" „ვერდერი" შინ 1998 წლის მერე არ დაუმარცხებია. თვეზე მეტია, ბოხუმელებმა ბუნდესლიგაში გამარჯვების გემო არ იციან, „ვერდერს" კი სტუმრად 4 ოქტომბრის მერე არ მოუგია.

ცხრილის მეზობლები — „არმინია" და „გლადბახი" — ბილეფელდში შეხვდებიან. ორივე გუნდი ცუდ დღეშია. „არმინიას" ორი თვეა, არ მოუგია, „გლადბახს" კი ახალი მწვრთნელი ჰანს მაიერი ჰყავს, რომლის ხელშიც სამ ტურში ერთი თამაში მოიგეს. „არმინიას" „გლადბახი" ბოლო ექვს მატჩში არ დაუმარცხებია.

„დორტმუნდს" სტუმრად ბოლო ორ ტურში არ წაუგია და „ჰამბურგს" ეწვევა, სადაც ბოლოს 2006-ის მარტში 4:2 მოიგო. 2 ოქტომბრის მერე დაუმარცხებელ „დორტმუნდს" მეგოლე ალექსანდრ ფრაი და ნახევარმცველი დედე დააკლდება, ხოლო „ჰამბურგს" ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავს.

ბოლოადგილოსანი „კოტბუსის" მცველმა იგორ მიტრესკიმ კლუბი საჯაროდ გააკრიტიკა, რის გამოც მას 10 ათასი ევრო ჯარიმა დააკისრეს და გუნდიდან მოკვეთეს. მაკედონიელმა ფეხბურთელმა „კიკერთან" ინტერვიუში თქვა, რომ გუნდში საშინელი ვითარებაა, რის გამოც „კოტბუსის" სათადარიგოებში ვარჯიში მოუწევს.

„კოტბუსი" „ვოლფსბურგს" ეთამაშება, რომელიც შინ მხოლოდ ერთხელ, 2007-ის აპრილში დაამარცხა 3:2. დანარჩენი ცხრა შეხვედრიდან ხუთი „ვოლფსბურგმა" მოიგო და სამი ფრედ დასრულდა.

ბუნდესლიგაში „კოტბუსი" ბოლო ხუთ ტურში მოუგებელია, „ვოლფსბურგმა" კი ზედიზედ ორ საშინაო შეხვედრაში იმარჯვა და შვიდი გოლი გაიტანა.

ბუნდესლიგის ლიდერი, ზედიზედ ხუთ ტურში მომგები „ჰოფენჰაიმი" ხვალ დედაქალაქში „ჰერტას" შეხვდება.

**ვაჟა ხუციშვილი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 ჰოფენჰაიმი | 11 | 8 | 1 | 2 | 31:16 | 15 | 25 | 6 | 5 | 1 | 0 | 14:3 | 11 | 16 | 5 | 3 | 0 | 2 | 17:13 | 4 | 9 |
| 2 ლევერკუზენი | 11 | 8 | 0 | 3 | 26:11 | 15 | 24 | 6 | 4 | 0 | 2 | 15:6 | 9 | 12 | 5 | 4 | 0 | 1 | 11:5 | 6 | 12 |
| 3 ბაიერნი | 11 | 6 | 3 | 2 | 25:17 | 8 | 21 | 6 | 3 | 2 | 1 | 18:14 | 4 | 11 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 10 |
| 4 შალკე | 11 | 5 | 5 | 1 | 17:8 | 9 | 20 | 5 | 3 | 2 | 0 | 7:2 | 5 | 11 | 6 | 2 | 3 | 1 | 10:6 | 4 | 9 |
| 5 ჰამბურგი | 11 | 6 | 2 | 3 | 17:18 | -1 | 20 | 5 | 4 | 1 | 0 | 9:4 | 5 | 13 | 6 | 2 | 1 | 3 | 8:14 | -6 | 7 |
| 6 დორტმუნდი | 11 | 4 | 6 | 1 | 19:16 | 3 | 18 | 6 | 1 | 5 | 0 | 10:7 | 3 | 8 | 5 | 3 | 1 | 1 | 9:9 | 0 | 10 |
| 7 ჰერტა | 11 | 5 | 3 | 3 | 15:15 | 0 | 18 | 5 | 2 | 2 | 1 | 8:5 | 3 | 8 | 6 | 3 | 1 | 2 | 7:10 | -3 | 10 |
| 8 ვერდერი | 11 | 4 | 4 | 3 | 28:23 | 5 | 16 | 6 | 3 | 2 | 1 | 17:11 | 6 | 11 | 5 | 1 | 2 | 2 | 11:12 | -1 | 5 |
| 9 ვოლფსბურგი | 11 | 4 | 4 | 3 | 23:18 | 5 | 16 | 5 | 4 | 1 | 0 | 14:4 | 10 | 13 | 6 | 0 | 3 | 3 | 9:14 | -5 | 3 |
| 10 შტუტგარტი | 11 | 5 | 1 | 5 | 16:15 | 1 | 16 | 6 | 4 | 0 | 2 | 12:7 | 5 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 |
| 11 კიოლნი | 11 | 5 | 1 | 5 | 11:13 | -2 | 16 | 5 | 2 | 1 | 2 | 3:5 | -2 | 7 | 6 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 0 | 9 |
| 12 აინტრახტი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:17 | -4 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | -4 | 4 | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 0 | 8 |
| 13 ჰანოვერი | 11 | 3 | 3 | 5 | 13:20 | -7 | 12 | 6 | 3 | 2 | 1 | 12:7 | 5 | 11 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:13 | -12 | 1 |
| 14 კარლსრუე | 11 | 3 | 0 | 8 | 9:20 | -11 | 9 | 5 | 2 | 0 | 3 | 3:7 | -4 | 6 | 6 | 1 | 0 | 5 | 6:13 | -7 | 3 |
| 15 ბოხუმი | 11 | 1 | 5 | 5 | 14:19 | -5 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 9:10 | -1 | 5 | 6 | 0 | 3 | 3 | 5:9 | -4 | 3 |
| 16 არმინია | 11 | 1 | 5 | 5 | 12:20 | -8 | 8 | 5 | 1 | 2 | 2 | 8:9 | -1 | 5 | 6 | 0 | 3 | 3 | 4:11 | -7 | 3 |
| 17 გლადბახი | 11 | 2 | 1 | 8 | 10:22 | -12 | 7 | 6 | 2 | 0 | 4 | 7:10 | -3 | 6 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:12 | -9 | 1 |
| 18 კოტბუსი | 11 | 1 | 3 | 7 | 6:17 | -11 | 6 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:12 | -8 | 1 | 5 | 1 | 2 | 2 | 2:5 | -3 | 5 |



# რონალდოს უარი სიენას

**დიდი** ამბები ხდება რონალდოს რონალდოს ირგვლივ. შეგახსენებთ, რომ ბრაზილიის ნაკრების ყოფილი თავდამსხმელი, ვინც ფიფას წლის საუკეთესო ფეხბურთელი სამჯერ იყო, ფეხბურთში დაბრუნებას გეგმავს. 32 წლის ფეხბურთელმა თავისი ბოლო მატჩი „მილანის" მაისურით ითამაშა, უმძიმესი ტრავმა მიიღო და ფეხბურთს 8 თვით ჩამოშორდა. „როსონერიმაც" აღარ აიტკივა თავი ამ „უიღბლო" ფეხბურთელის ტრავმებით და გუნდიდან გაუშვა. ახლა კი, რონალდო თავისუფალი აგენტია და უამრავი შემოთავაზებაც აქვს.

გავრცელდა ხმები, რომ „სიენას" პრეზიდენტი ჯოვანი ლომბარდ სტრონატი, ჯერ კიდევ 2002 წლის მუნდიალის შემდეგ ყოფილა რონალდოთი დაინტერესებული და შექმნილი სიტუაცია სასიკეთოდ გამოიყენა — ბრაზილიელს სარფიანი კონტრაქტი შესთავაზა. თუმცა ორიოდ დღის წინ ფეხბურთელის აგენტმა ფაბიანუ ფარამ ამ თემასთან დაკავშირებით საგანგებო განცხადება გააკეთა.

„ჩვენ ვითვალისწინებთ „სიენას" ინტერესებს. გვესმის, რომ ყველას სურს თავის შემადგენლობაში რონალდოს ხილვა, მაგრამ მას „სიენა" არ აინტერესებს. ამ თემაზე ვესაუბრე და მითხრა, რომ ცხრათვიანი მკურნალობის შემდეგ ისეთ გუნდში უნდა თამაში, რომელიც დიდი მიზნებისთვის იბრძოლებს.

დებიუტს რაც შეეხება, რონი ფეხბურთში დაბრუნებას 17 ნოემბრისთვის გეგმავს. მას სურს, ზინედინ ზიდანთან ერთად საქველმოქმედო მატჩ-აქციაში მიიღოს მონაწილეობა. ამ მატჩის შემდეგ კი, მის მომავალ გუნდზე ვიფიქრებთ, სადაც 2009 წელს ითამაშებს" — აღნიშნა ფაბიანუ ფარამ.

**გაგა ლოგუაშვილი**



რონალდინიო და კარლო ანჩელოტი

# ბრაგათი დაწყებული ერა

**იტალიური** „მილანის" დამრიგებელმა კარლო ანჩელოტიმ განაცხადა, რომ უეფას თასზე პორტუგალიურ „ბრაგასთან" შეხვედრაში გამარჯვების შემდეგ, „როსონერისთვის" ახალი ეპოქა დაიწყო.

„ბრაგასთან" ბევრი რამ არ გამოგვდიოდა, მაგრამ ეს გასაკვირი არც არის, მეტოქეს ხომ თითქმის საერთოდ არ ვიცნობდით. მიუხედავად ამისა, მიზანს მაინც მივაღწიეთ. „მილანში" შვიდი წლის წინ მოვედი და ახლა ამ გასული წლების დავიწყებას გთავაზობთ, რადგან ამ მატჩიდან მოყოლებული კლუბის ისტორიაში ახალი ერა იწყება" — ბრძანა იტალიელმა სპეციალისტმა.

უეფას თასის ჯგუფურ ეტაპზე ზედიზედ მეორე გამარჯვება „როსონერის" ბრაზილიელი ვარსკვლავის რონალდინიოს გოლმა მოუტანა. დინიო „სან სიროზე" მხოლოდ მეორე ტაიმში გამოჩნდა და დამატებულ წუთებზე გამარჯვების გოლიც გაიტანა. ჟურნალისტებთან საუბარში ბრაზილიელმა მორიდებულად აღნიშნა, რომ მისთვის გუნდური წარმატებაა უმთავრესი:

„უპირველესად გუნდის წარმატება მახარებს. ყველამ კარგად ვიცოდით, რომ მატჩი რთული გამოდგებოდა, რადგან „ბრაგას" შვიდი მატჩის განმავლობაში გოლი არ გაეშვა. ამიტომ ახლა ორმაგად კმაყოფილნი უნდა ვიყოთ".

**არჩილ ძოგახიძე**

# აპიას სატრანსფერო პრობლემები

**განელი** ფეხბურთელი სტეფან აპია, რომელმაც ამ ზაფხულს თურქულ „ფენერბაჰჩესთან" კონტრაქტი გაწყვიტა, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობდა და ახალი კლუბის ძიებაში იყო, მაგრამ, როგორც აღმოჩნდა, საქმე არც ისე მარტივად ყოფილა. 20 ოქტომბერს პროფესიონალ ფეხბურთელთა საერთაშორისო ფედერაციის ოფიციალურ ვებგვერდზე განცხადება გამოქვეყნდა, რომელშიც აპიას „თავისუფლებაში" ეჭვი შეიტანეს.

„ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ფიფა რეგისტრაციის-პროცესს განგებ აჭიანურებს და ამით ფეხბურთელს სხვა კლუბში გადასვლაში ხელს უშლის, არასწორია. საქმე ის არის, რომ არც კლუბს და არც მოთამაშეს ფიფაში საჭირო დოკუმენტები ჯერჯერობით არ წარუდგენიათ. ასევე არ ჩანს დოკუმენტები თურქეთის ფეხბურთის ასოციაციისგან, სადაც ამჟამად მოთამაშის ტრანსფერის სერთიფიკატი ინახება. ასე რომ, იმაზე საუბარი, რომ ფიფა აპიას სხვა კლუბში გადასვლაში ხელს უშლის, სინამდვილეს არ შეესაბამება" — ნათქვამია ამ განცხადებაში.

28 წლის აპიამ კარიერის უდიდესი ნაწილი სერია A-ში გაატარა. სხვადასხვა დროს იგი „უდინეზეში", „პარმაში", „ბრეშიასა" და „იუვენტუსში" გამოდიოდა, ბოლოს კი თურქულ „ფენერბაჰჩეში" ირიცხებოდა. ზაფხულში მისი პერსონით პრემიერლიგის კლუბები — „არსენალი", „ვესტ ჰემი", „პორტსმუთი" და „ჩელსი" — დაინტერესდნენ. თუმც განის ნაკრების ნახევარმცველთან კონტრაქტის გაფორმება ვერ მოხერხდა და, როგორც ჩანს, ზემოთ მოყვანილი განცხადების გამო ამის განხორციელება საერთოდ შეუძლებელი იყო.

**არჩილ ძოგახიძე**

| XI ტური |
|---|
| **დღეს** |
| ტორინო — პალერმო |
| ბოლონია — რომა |
| **ხვალ** |
| ლაციო — სიენა |
| ინტერი — უდინეზე |
| ჯენოა — რეჯინა |
| ფიორენტინა — ატალანტა |
| ნაპოლი — სამპდორია |
| კიევო — იუვენტუსი |
| ლეჩე — მილანი |
| კატანია — კალიარი |

## იტალია

# უდინეზე ტურის მთავარია

**ტურის** მთავარი მატჩი ხვალ მილანში გაიმართება, სადაც „ინტერი" — „უდინეზეს" უმასპინძლებს. თანაბარქულიანი გუნდები „სან სიროზე" დაეჯახებიან. „უდინეზემ" „ინტერს" მილანში ბოლოს 2004-ში მოუგო და მას შემდეგ არ დაუმარცხებია.

უდინელებს ფერნანდო ტისონე და კრისტიან ზაპატა დააკლდებათ, ხოლო „ინტერს" სულეი მუნტარი, ლუის ხიმენესი, ლუიშ ფიგუ და ადრიანო არ ეყოლება.

თვეზე მეტია, „ინტერი" და „უდინეზე" არ დამარცხებულან.

„ჩელსისთან" გამარჯვებით გახარებული „რომა" ბოლონიაში ჩავა, სადაც 2003-ის ნოემბრის მერე არ მოუგია. ფრანჩესკო ტოტი ალბათ, კვლავ ძირითად შემადგენლობაში იქნება, ხოლო მარკო კასეტი, ალბერტო აკვილანი და ვინჩენცო მონტელა ისევ ტრავმირებულნი არიან.

„ბოლონიას" არ ეყოლება დავიდე ბომბარდინი, კრისტიან ამოროზო, სერჯო ვოლეპი, ფაბიო მინგაცინი და ლუიჯი ლავეკია.

„რომამ" სერია A-ში ბოლო ოთხი მატჩი წააგო, „ბოლონიამ" კი — სამი.

„პალერმო" ჩავა ტურინში, სადაც „ტორინო" არასოდეს დაუმარცხებია. ტურინელებს დააკლდებათ მატეო სერენი, ალექს კალდერონი, ჩეზარე ნატალი, ეუჯენიო კორინი, იგნასიო აბეტე და მატეო რუბინი.

მეშვიდე ადგილზე დაბრძანებული „ჯენოა" ბოლოადგილოსან „რეჯინას" უმასპინძლებს, რომელთანაც რვა პირადი შეხვედრიდან მხოლოდ ერთი აქვს მოგებული. „ჯენოამ" „რეჯინას" წინა სეზონში 2:0 სძლია. გენუელებს ბერძენი მცველი სოკრატის პაპაცაპოულოსი გამოუკეთდათ, მაგრამ მატეო პარო, ომარ მილანეტო, ფრანჩესკო მოდესტო და დომენიკო კრიშიტო ალბათ ვერ ითამაშებენ.

რეჯინელებს არ ეყოლებათ ანტონიო ჯიოსა, გლეისონ სანტოსი და ემანუელ კასკიონე.

„ჩემპიონთა ლიგაში „ბაიერნთან" ფრის შემდეგ „ფიორენტინა" ბერგამოს „ატალანტას" უმასპინძლებს, რომელთანაც შინ არასოდეს დამარცხებულა, თუმც ამ გუნდების ბოლო სამი შეხვედრა ერთნაირი ანგარიშით, 2:2 დასრულდა.

„ფიორენტინას" ზედიზედ სამი თამაში არ მოუგია, „ატალანტას" კი — ოთხი. ფლორენციელებს სასჯელმოხდილ ალბერტო ჯილარდინო დაუბრუნდებათ და ძირითად შემადგენლობაში ალბათ ადრიან მუტუც იქნება, რომელმაც ოთხშაბათს „ბაიერნს" გოლი გაუტანა.

შინ ოთხივე მატჩის მომგები „ნაპოლი" „სამპდორიას" დაუხვდება, რომელმაც ბოლო სამი თამაში (მათ შორის უეფას თასზე) მოიგო. ნეაპოლელებმა აპრილიდან ყველა საშინაო შეხვედრაში იმარჯვეს და „სამპდორიასთან" 1998 წლის მერე არ წაუგიათ.

„ნეაპოლელებს ალბათ, კრისტიან მაჯო, ფაბიანო სანტაკროჩე და მარსელო ზალაიეტა დააკლდებათ და შეტევაში ხერმან დენისი და ეზეკიელ ლავეცი ითამაშებენ.

„სამპდორიას" არ ეყოლება ანჯელო პალომბო, უგო კამპანარო, სტეფანო ლუჩინი და პაოლო სანმარკო.

მადრიდში „რეალის" მძლეველი „იუვენტუსი" ვერონაში „კიევოს" ეწვევა, რომელთანაც ათი მატჩიდან ცხრა მოიგო და ერთხელ დაუზავდა. ეს ერთადერთი ფრე ორი წლის წინანდელია. მაშინ გუნდებმა ვერონაში 1:1 ითამაშეს. „კიევოს" თითქმის ორი თვეა, არ მოუგია, „იუვემ" კი ბოლო ხუთ მატჩში (ყველა ტურნირში) იმარჯვა. ტურინელებს ალბათ ზდენეკ გრიგერა და კლაუდიო მარკიზიო დაუბრუნდებათ.

სერია A-ს ლიდერი, ზედიზედ ექვსი თამაშის მომგები „მილანი" „ლეჩეს" ესტუმრება, სადაც 2002 წლის მერე ჩატარებულ სამ მატჩში ერთხელაც არ მოუგია.

**ძოძი ძანდელაძი**

| | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 მილანი | 10 | 7 | 1 | 2 | 15:7 | 8 | 22 | 6 | 5 | 0 | 1 | 12:4 | 8 | 15 | 4 | 2 | 1 | 1 | 3:3 | 0 | 7 |
| 2 უდინეზე | 10 | 6 | 3 | 1 | 19:8 | 11 | 21 | 6 | 4 | 2 | 0 | 12:5 | 7 | 14 | 4 | 2 | 1 | 1 | 7:3 | 4 | 7 |
| 3 ინტერი | 10 | 6 | 3 | 1 | 16:7 | 9 | 21 | 4 | 3 | 1 | 0 | 5:2 | 3 | 10 | 6 | 3 | 2 | 1 | 11:5 | 6 | 11 |
| 4 ნაპოლი | 10 | 6 | 2 | 2 | 14:8 | 6 | 20 | 4 | 4 | 0 | 0 | 9:3 | 6 | 12 | 6 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 0 | 8 |
| 5 ლაციო | 10 | 6 | 1 | 3 | 18:12 | 6 | 19 | 5 | 3 | 1 | 1 | 7:2 | 5 | 10 | 5 | 3 | 0 | 2 | 11:10 | 1 | 9 |
| 6 იუვენტუსი | 10 | 5 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 18 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 10 | 5 | 2 | 2 | 1 | 5:4 | 1 | 8 |
| 7 ჯენოა | 10 | 5 | 2 | 3 | 14:10 | 4 | 17 | 5 | 5 | 0 | 0 | 11:4 | 7 | 15 | 5 | 0 | 2 | 3 | 3:6 | -3 | 2 |
| 8 ფიორენტინა | 10 | 5 | 2 | 3 | 12:8 | 4 | 17 | 5 | 3 | 2 | 0 | 6:1 | 5 | 11 | 5 | 2 | 0 | 3 | 6:7 | -1 | 6 |
| 9 პალერმო | 10 | 5 | 1 | 4 | 15:14 | 1 | 16 | 5 | 4 | 0 | 1 | 10:5 | 5 | 12 | 5 | 1 | 1 | 3 | 5:9 | -4 | 4 |
| 10 კატანია | 10 | 4 | 3 | 3 | 9:8 | 1 | 15 | 5 | 4 | 0 | 1 | 5:2 | 3 | 12 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:6 | -2 | 3 |
| 11 ატალანტა | 10 | 4 | 2 | 4 | 9:9 | 0 | 14 | 5 | 3 | 1 | 1 | 6:3 | 3 | 10 | 5 | 1 | 1 | 3 | 3:6 | -3 | 4 |
| 12 სიენა | 10 | 3 | 3 | 4 | 8:9 | -1 | 12 | 5 | 3 | 2 | 0 | 5:2 | 3 | 11 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:7 | -4 | 1 |
| 13 ლეჩე | 10 | 2 | 5 | 3 | 9:11 | -2 | 11 | 5 | 2 | 3 | 0 | 8:4 | 4 | 9 | 5 | 0 | 2 | 3 | 1:7 | -6 | 2 |
| 14 კალიარი | 10 | 3 | 1 | 6 | 11:13 | -2 | 10 | 5 | 2 | 1 | 2 | 8:6 | 2 | 7 | 5 | 1 | 0 | 4 | 3:7 | -4 | 3 |
| 15 სამპდორია | 9 | 2 | 4 | 3 | 7:11 | -4 | 10 | 5 | 2 | 3 | 0 | 5:2 | 3 | 9 | 4 | 0 | 1 | 3 | 2:9 | -7 | 1 |
| 16 ტორინო | 10 | 2 | 2 | 6 | 9:14 | -5 | 8 | 5 | 2 | 0 | 3 | 7:8 | -1 | 6 | 5 | 0 | 2 | 3 | 2:6 | -4 | 2 |
| 17 რომა | 9 | 2 | 1 | 6 | 9:17 | -8 | 7 | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 1 | 7 | 5 | 0 | 0 | 5 | 3:12 | -9 | 0 |
| 18 კიევო | 10 | 1 | 3 | 6 | 6:16 | -10 | 6 | 5 | 1 | 2 | 2 | 5:7 | -2 | 5 | 5 | 0 | 1 | 4 | 1:9 | -8 | 1 |
| 19 ბოლონია | 10 | 2 | 0 | 8 | 8:19 | -11 | 6 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:8 | -4 | 3 | 5 | 1 | 0 | 4 | 4:11 | -7 | 3 |
| 23:30 | 1052 | ლინფილდი-უექსფორდი | 1.90 | 3.25 | 3.50 | 1.19 | 1.23 | 1.68 |
| | | იაპონია. J ლიგა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 09:00 | 553 | ომია-კავასაკი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| 09:00 | 554 | კაშივა-ნაგოია | 2.85 | 3.20 | 2.20 | 1.50 | 1.24 | 1.30 |

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 08:00 | 555 | იოკოჰამა-კობე | 1.70 | 3.30 | 4.20 | 1.12 | 1.21 | 1.84 |
| 11:00 | 556 | ოიტა-შიმიზუ | 2.45 | 3.20 | 2.50 | 1.38 | 1.23 | 1.40 |
| 09:00 | 557 | ოსაკა-ტოკიო | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 09:00 | 558 | საპორო-ურავა | 6.50 | 4.00 | 1.40 | 2.47 | 1.15 | 1.03 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 11:00 | 559 | კაშიმა-ნიიგატა | 1.45 | 3.70 | 6.35 | 1.04 | 1.18 | 2.33 |
| 11:00 | 560 | ჯუბილო-კობე | 2.30 | 3.10 | 2.75 | 1.32 | 1.25 | 1.45 |
| 11:00 | 561 | ოიტა-ჩიბა | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.82 |
| | | აშშ. MLS | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 563 | კოლამბუსი-კანზასი | 1.60 | 3.40 | 5.00 | 1.08 | 1.21 | 2.02 |
| 23:55 | 564 | ნიუ იორკი-სოლტ ლეიკი | 1.75 | 3.30 | 4.10 | 1.14 | 1.22 | 1.82 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 565 | ჰიუსტონი-ნიუ იორკი | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| | | მექსიკა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 566 | ტიგრესი-ტოლუკა | 1.85 | 3.20 | 3.90 | 1.17 | 1.25 | 1.75 |
| 23:45 | 567 | ინდიოსი-კრუს აზული | 2.70 | 3.10 | 2.30 | 1.44 | 1.24 | 1.32 |
| 23:45 | 568 | ატლანტე-ნეკაქსა | 1.55 | 3.50 | 5.40 | 1.07 | 1.20 | 2.12 |
| 23:45 | 569 | ატლასი-მორელია | 2.25 | 3.20 | 2.80 | 1.32 | 1.24 | 1.49 |
| 23:45 | 570 | იაგუარესი-პაჩუკა | 2.35 | 3.20 | 2.65 | 1.35 | 1.24 | 1.44 |
| 23:45 | 571 | სან ლუისი-სანტოსი | 1.75 | 3.30 | 3.90 | 1.14 | 1.20 | 1.78 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 22:00 | 572 | პუებლა-გვადალახარა | 2.80 | 3.10 | 2.25 | 1.47 | 1.24 | 1.30 |
| 22:00 | 573 | პუმასი-ტეკოსი | 1.75 | 3.20 | 4.10 | 1.13 | 1.22 | 1.79 |
| 23:55 | 574 | ამერიკა-მონტერეი | 1.75 | 3.30 | 3.95 | 1.14 | 1.21 | 1.79 |
| | | არგენტინა. კლაუსურა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 575 | გოდოი -არხენტინოსი | 1.95 | 3.20 | 3.60 | 1.21 | 1.26 | 1.69 |
| 22:10 | 579 | კოლონი-ტიგრე | 2.15 | 3.20 | 3.10 | 1.28 | 1.26 | 1.57 |
| 23:55 | 580 | ველესი-ხიმნასია ლპ | 1.65 | 3.30 | 4.80 | 1.10 | 1.22 | 1.95 |
| 23:55 | 583 | ესტუდიანტესი-ინდეპენდიენტე | 1.85 | 3.20 | 3.95 | 1.17 | 1.25 | 1.76 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 577 | სან მარტინ-რასინგი | 2.00 | 3.20 | 3.25 | 1.23 | 1.23 | 1.61 |
| 23:55 | 581 | რივერ პლეიტი-ურაკანი | 1.90 | 3.20 | 3.65 | 1.19 | 1.24 | 1.70 |
| 23:20 | 582 | არსენალი-ბოკა ხუნიორსი | 3.25 | 3.20 | 2.00 | 1.61 | 1.23 | 1.23 |
| 21:10 | 584 | სან ლორენსო-ხიმნასია ჟ | 1.40 | 3.70 | 7.75 | 1.01 | 1.18 | 2.50 |
| | | ბრაზილია. ჩემპიონატი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 585 | ვასკო და გამა-სანტოსი | 2.10 | 3.20 | 3.10 | 1.26 | 1.25 | 1.57 |
| 23:55 | 587 | ფიგეირენსე-ატლეტიკო პრ | 2.30 | 3.20 | 2.90 | 1.33 | 1.28 | 1.52 |
| 23:55 | 590 | პორტუგეზა-სან პაულუ | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:45 | 586 | ინტერნასიონალი-იპატინგა | 1.35 | 4.30 | 7.50 | 1.02 | 1.14 | 2.73 |
| 23:55 | 588 | ვიტორია-ატლეტიკო მგ | 1.75 | 3.30 | 4.20 | 1.14 | 1.23 | 1.84 |
| 23:00 | 589 | კრუზეირო-ფლუმინენსე | 1.60 | 3.40 | 4.90 | 1.08 | 1.20 | 2.00 |
| 23:00 | 591 | პალმეირასი-გრემიო | 1.70 | 3.30 | 4.50 | 1.12 | 1.23 | 1.90 |
| 23:00 | 592 | კორიტიბა-ნაუტიკო | 1.65 | 3.40 | 4.85 | 1.11 | 1.23 | 1.99 |
| 23:00 | 593 | სპორტ რესიფე-გოიასი | 1.90 | 3.25 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.69 |
| 23:55 | 594 | ბოტაფოგო-ფლამენგო | 3.00 | 3.20 | 2.15 | 1.54 | 1.25 | 1.28 |
| | | ურუგვაი. კლაუსურა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 596 | სენტრალ-ტაკუარემბო | 2.15 | 3.25 | 2.95 | 1.29 | 1.24 | 1.54 |
| 23:00 | 601 | ნასიონალი-რამპლა | 1.40 | 4.00 | 6.50 | 1.03 | 1.15 | 2.47 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 595 | პენიაროლი-ვილია ესპანიოლა | 1.35 | 4.00 | 8.25 | 1.00 | 1.16 | 2.69 |
| 23:00 | 597 | რივერ პლეიტი-ხუვენტუდი | 1.45 | 3.70 | 6.50 | 1.04 | 1.18 | 2.35 |
| 23:00 | 598 | დანუბიო-დეფენსორი | 2.25 | 3.25 | 2.75 | 1.32 | 1.23 | 1.48 |
| 23:00 | 599 | სერო-რასინგი | 2.05 | 3.20 | 3.20 | 1.24 | 1.24 | 1.60 |
| 23:00 | 600 | ლივერპული-უონდერერსი | 1.35 | 4.00 | 8.25 | 1.00 | 1.16 | 2.69 |
| 16:10 | 602 | ბელა ვისტა-სერო ლარგო | 1.65 | 3.50 | 4.50 | 1.12 | 1.20 | 1.96 |
| | | ჩილე. აპერტურა | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:55 | 604 | კოლო კოლო-კობრელოა | 1.40 | 3.80 | 6.80 | 1.02 | 1.16 | 2.43 |
| 23:55 | 610 | უ.კონსეპსიონი-მელიპილა | 1.25 | 4.80 | 8.35 | 1.00 | 1.08 | 3.04 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 23:00 | 605 | ოჰიგინსი-უნ.ესპანიოლა | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 23:00 | 606 | მორნინგი-სერენა | 2.20 | 3.20 | 2.85 | 1.30 | 1.24 | 1.50 |
| 23:00 | 607 | ანტოფაგასტა-ევერტონი | 1.85 | 3.25 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.70 |
| 23:55 | 608 | პალესტინო-უაჩიპატო | 2.25 | 3.20 | 2.85 | 1.32 | 1.25 | 1.50 |
| 23:55 | 609 | რანგერსი-უნ.ჩილე | 1.90 | 3.20 | 3.60 | 1.19 | 1.24 | 1.69 |
| 23:55 | 611 | ნუბლენსე-უნ.კატოლიკა | 3.40 | 3.20 | 1.95 | 1.64 | 1.23 | 1.21 |
| 23:00 | 612 | კობრესალი-აუდაქსი | 1.90 | 3.25 | 3.55 | 1.19 | 1.23 | 1.69 |
| | | ინგლისი. FA CUP | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 17:00 | 26 | ჩესტერი-მილუოლი | 3.80 | 3.25 | 1.80 | 1.75 | 1.22 | 1.15 |
| 17:00 | 27 | ჩესტერფილდი-მენსფილდი | 1.60 | 3.40 | 5.55 | 1.08 | 1.24 | 2.10 |
| 18:00 | 28 | ბლით სპარტანსი-შრუსბერი | 5.50 | 3.40 | 1.55 | 2.10 | 1.20 | 1.06 |
| 18:00 | 29 | სატონი-ნოტსი | 4.00 | 3.40 | 1.80 | 1.83 | 1.24 | 1.17 |
| 19:00 | 30 | აკრინგტონი-ტრანმერი | 3.80 | 3.20 | 1.85 | 1.73 | 1.24 | 1.17 |
| 19:00 | 31 | ბარნეტი-როჩდეილი | 2.60 | 3.25 | 2.35 | 1.44 | 1.23 | 1.36 |
| 19:00 | 32 | ბორნმუთი-როვერსი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 33 | ალდერშოტი-როთერჰემი | 2.45 | 3.40 | 2.45 | 1.42 | 1.22 | 1.42 |
| 19:00 | 34 | ბრაიტონი-ჰარტლპული | 2.20 | 3.20 | 3.00 | 1.30 | 1.26 | 1.54 |
| 19:00 | 35 | ბერი-ჯილინჰემი | 2.15 | 3.20 | 2.90 | 1.28 | 1.23 | 1.52 |
| 19:00 | 36 | კარლაილი-გრიმსბი | 1.35 | 4.00 | 7.00 | 1.00 | 1.13 | 2.54 |
| 19:00 | 37 | ჩელტენჰემი-ოლდემი | 2.80 | 3.20 | 2.30 | 1.49 | 1.26 | 1.33 |
| 19:00 | 38 | კოლჩესტერი-ლეიტონი | 1.80 | 3.25 | 3.75 | 1.15 | 1.21 | 1.74 |
| 19:00 | 39 | ქრიუ-ებსფლიტი | 1.55 | 3.40 | 5.20 | 1.06 | 1.19 | 2.05 |
| 19:00 | 50 | ალტონი-ექსეტერი | 6.50 | 3.60 | 1.45 | 2.31 | 1.18 | 1.03 |
| 19:00 | 51 | დარლინგტონი-დროილსდენი | 1.30 | 4.50 | 8.00 | 1.00 | 1.11 | 2.88 |
| 19:00 | 52 | ჰარლოუ-მაკლსფილდი | 3.90 | 3.50 | 1.85 | 1.84 | 1.25 | 1.21 |
| 19:00 | 53 | ჰისტონი-სვინდონი | 3.50 | 3.20 | 1.95 | 1.67 | 1.25 | 1.21 |
| 19:00 | 54 | კეტერინგი-ლინკოლნი | 2.60 | 3.25 | 2.30 | 1.44 | 1.22 | 1.34 |
| 19:00 | 55 | პიტერბორო-დაგენჰემი | 2.00 | 3.20 | 3.50 | 1.23 | 1.27 | 1.67 |
| 19:00 | 56 | ჰადერსფილდი-პორტ ვეილი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 57 | კიდერმინსტერი-კემბრიჯი | 2.20 | 3.25 | 2.75 | 1.31 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 58 | ლესტერი-სტივენიჯი | 1.35 | 4.35 | 7.00 | 1.03 | 1.13 | 2.68 |
| 19:00 | 59 | ლუტონი-ალტრინჰემი | 1.55 | 3.40 | 5.50 | 1.06 | 1.20 | 2.10 |
| 19:00 | 60 | დონი-ბრედფორდი | 1.60 | 3.50 | 5.00 | 1.09 | 1.21 | 2.05 |
| 19:00 | 61 | მორკემბი-გრიმზბი | 1.95 | 3.20 | 3.50 | 1.21 | 1.25 | 1.67 |
| 19:00 | 62 | იესფორდი-დორჩესტერი | 1.40 | 3.75 | 7.00 | 1.01 | 1.16 | 2.44 |
| 19:00 | 63 | ტელფორდი-სოუთენდი | 5.00 | 3.40 | 1.65 | 2.02 | 1.24 | 1.11 |
| 19:00 | 64 | ვოლსოლი-სკანთორპი | 2.40 | 3.25 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.41 |
| 19:00 | 65 | იოვილი-სტოკპორტი | 2.40 | 3.25 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.41 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 18:00 | 110 | ბორნზარგი-პიტერბორო | 7.00 | 3.75 | 1.40 | 2.44 | 1.16 | 1.01 |
| 18:00 | 111 | ჰავანტი-ბრენტფორდი | 3.75 | 3.25 | 1.80 | 1.74 | 1.21 | 1.15 |
| 19:00 | 112 | თიმ ბათი-ფორესტ გრინი | 2.40 | 3.25 | 2.50 | 1.38 | 1.22 | 1.41 |
| | | 10 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 113 | ისტბორნი-ბაროუ | 2.20 | 3.25 | 2.75 | 1.31 | 1.22 | 1.48 |
| 19:00 | 114 | ისტლეი-ბრისტოლი | 1.85 | 3.20 | 3.85 | 1.17 | 1.24 | 1.74 |
| 19:00 | 115 | ლეისტონი-ფლიტვუდი | 3.75 | 3.20 | 1.85 | 1.72 | 1.23 | 1.17 |
| 19:00 | 116 | ალფრეტონი-ბერი თაუნი | 1.50 | 3.40 | 6.00 | 1.04 | 1.20 | 2.17 |
| 19:00 | 117 | ტორკი-ვოკინგი | 1.25 | 5.00 | 8.00 | 1.00 | 1.08 | 3.07 |
| 23:45 | 118 | უიმბლდონი-უიკომბი | 3.75 | 3.20 | 1.85 | 1.72 | 1.23 | 1.17 |
| | | პორტუგალია. თასი | | | | | | |
| | | 8 ნოემბერი | | | | | | |
| 23:30 | 1187 | ბოავიშტა-გიმარაეში | 3.20 | 3.20 | 2.00 | 1.60 | 1.23 | 1.23 |
| | | 9 ნოემბერი | | | | | | |
| 19:00 | 1188 | აკადემიკა-ამადორა | 1.85 | 3.20 | 3.60 | 1.17 | 1.22 | 1.69 |
| 19:00 | 1189 | გონდომარი-ტროფენსე | 3.50 | 3.30 | 1.85 | 1.69 | 1.21 | 1.18 |
| 19:00 | 1190 | პორტიმონენსე-ვარზიმი | 2.15 | 2.90 | 3.20 | 1.23 | 1.28 | 1.52 |
| 19:00 | 1191 | ნავალ-ბელენენსეში | 2.15 | 3.10 | 3.00 | 1.26 | 1.25 | 1.52 |
| 23:45 | 1192 | სპორტინგი-პორტუ | 2.20 | 3.20 | 2.90 | 1.30 | 1.25 | 1.52 |

# სარაგბო ფინალი: სიამოვნება უფასოდ

## ტიმ ლეინი და ღრუბლები



თემურ ბენდიაშვილი

## ერთი წელიც და, ქართული საკლუბო ევროპაში გავა



ლევან მაისაშვილი

**ხვალ „მიხეილ მესხზე“ 16 საათზე საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის ფინალი გაიმართება „ლელოსა“ და ლოკომოტივს“ შორის.**

**მატჩზე დასწრება უფასოა. ბლომად გულშემატკივართა მისვლა სტადიონზე კი დამატებით ლაზათს შემატებს სავარაუდოდ ისედაც ბობოქარ ფინალს. ერთი სიტყვით, ხვალინდელი ფინალისთვის ყველა წინაპირობა არსებობს, რომ ქომაგი სტადიონიდან უკმაყოფილო არ წავიდეს. თანაც სტადიონზე აგვისტოს მოვლენების დროს დაზარალებულთა დასახმარებლად საქველმოქმედო აქცია იმართება და საშუალება მოგეცემათ თქვენც შეიტანოთ წვლილი...**

გუშინ კი რაგბის კავშირში ფინალისწინა პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც კავშირის პრეზიდენტმა გია ნიჟარაძემ, „ლოკომოტივის“ მთავარმა მწვრთნელმა თემურ ბენდიაშვილმა და „ლელოს“ მთავარმა მწვრთნელმა ლევან მაისაშვილმა ისაუბრეს.

პრესკონფერენციას მოგვიანებით ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი ტიმ ლეინიც შემოუერთდა. ლეინმა ნაკრებში მიმდინარე ცვლილებებსა და შოტლანდიაში ჩასატარებელ თამაშებზე ილაპარაკა.

*გია ნიჟარაძე:* ეროვნული ჩემპიონატი ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა. შინაურ რაგბიში ფინალის გარდა ამ სეზონში მხოლოდ სათასო თამაშებია ჩასატარებელი. ფინალისტებმა კი გრძელი და რთული გზა გაიარეს. ორივე გუნდი იმსახურებდა დასკვნით შერკინებაში თამაშს. „ლოკომოტივიც“ და „ლელოც“ მზად არიან, დაუვიწყარი სანახაობა შესთავაზონ მაყურებელს. ახლა ჯერი გულშემატკივარზეა. ყველას ვიწვევ „მიხეილ მესხზე“. კვირა დღეა, მობრძანდით ოჯახებით და დაისვენეთ.

— როგორ ემზადებიან გუნდები საფინალოდ?

ამ კითხვაზე გუნდების მწვრთნელებმა უპასუხეს.

*თემურ ბენდიაშვილი:* მომზადება ნორმალურად მიმდინარეობს. ცოტა წვიმამ შეგვიშალა ხელი ვარჯიშში. საქართველოს პირობებში ჩვენს მომზადებას შეიძლება საუკეთესო ეწოდოს. ჩემს რამდენიმე მორაგბეს აწუხებს მცირე ტრავმა, მათ შორის, გუჯარაიძეს და ტუჩაშვილს. ისინი „ლოკომოტივის“ ლიდერები არიან, მაგრამ გვყავს რეზერვიც. მოკლედ, ფინალს იმედიანად ვხვდებით და არაფრის დათმობას ვაპირებთ.

*ლევან მაისაშვილი:* საფინალოდ „ლოკომოტივის“ ერთადერთ უპირატესობად შეიძლება მისა ათდღიანი დასვენება ჩაითვალოს. ჩვენ კი 4 ნოემბერს დაძაბული მცირე ფინალი გვქონდა და შესაძლოა, ენერგია ბოლომდე აღდგენილი არ გვქონდეს. მცირე ტრავმები ჩვენს გუნდშიც არის, მაგრამ საგანგაშო არაფერია. მთელი შემართებით ვიბრძოლებთ საჩემპიონოდ.

*მერე ჟურნალისტებმა მწვრთნელებს სეზონის შეფასება ვთხოვეთ.*

*თემურ ბენდიაშვილი:* ჩვენი უმთავრესი პრობლემა ამ სეზონშიც და ზოგადადაც, სავარჯიშო პირობების და ინფრასტრუქტურის არქონაა. საქართველო რაგბიში ტალანტების სიმწირეს არ განიცდის და თუ არ გვინდა, რომ ჩვენს ქვეყანაში სარაგბო რეგრესი დაიწყოს, მაშინ პირობები დროულად უნდა გავაუმჯობესოთ, თორემ შეიძლება, სავალალო შედეგები მივიღოთ. იმედით შევყურებთ მთავრობის დაპირებას. ძველი პრემიერ-მინისტრი ბევრ სასიკეთოს შეგვპირდა და მინდა, რომ რაგბის მეურვეობა ახალმა მთავრობამ გადაიბაროს. გასაგებია, რომ ქართულმა რაგბიმ გარკვეულ შედეგს უკვე მიაღწია, მაგრამ ჩვენ ამაზე გაჩერება არ გვინდა. მიზნად თუ გვაქვს, რომ იტალიას კლასით გავუთანაბრდეთ, მაშინ ჩვენი რამდენიმე კლუბი მაინც უნდა თამაშობდეს ევროსარბიელზე. იტალიელების მაგალითს მოვიყვან და გეტყვით, რომ მათი რვა გუნდი გამოდის ევროპის ორ უდიდეს საკლუბო ტურნირზე.

*გია ნიჟარაძე:* მთელი პასუხისმგებლობით ვამბობ, რომ ამჟამად არც ერთი ქართული კლუბი არ არის მზად რომელიმე დიდ ევროპულ ტურნირზე გამოსასვლელად. ჩვენ რომ ახლა ალალბედზე გავიდეთ ევროსარბიელზე, შეიძლება, ეს ბუმერანგივით უკან დაგვიბრუნდეს და ცუდი შედეგები მოგვიტანოს. რა თქმა უნდა, ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება გვჭირდება და რაც შეიძლება ჩქარა. ბოლო ექვს თვეში ჩვენი სარაგბო ოჯახი 600 წევრით გაიზარდა. არ შეიძლება, რომ ჩვენი ბავშვები მომავალშიც ასფალტის მოედნებზე იზრდებოდნენ. 2009 წელი უნდა ვაქციოთ მომზადების წლად, რის შემდეგაც უკვე ევროტურნირები გველის.

*ლევან მაისაშვილი:* ყველა ქართულ კლუბშია ფინანსური გაუმართაობა. არ გვყავს გენერალური სპონსორი, რის გარეშეც კლუბი მართლაც ძლიერი ვერ გახდება. ჯერჯერობით ჩვენ მხოლოდ რაგბის კავშირის და სახელმწიფოს დახმარებით შემოვიფარგლებით.

*ამასობაში ტიმ ლეინი შემოგვიერთდა და კითხვების ადრესატი შეიცვალა...*

— რას გვეტყვით შოტლანდიური ვოიაჟის წინ, რამდენად კმაყოფილი ხართ ნაკრებში არსებული მდგომარეობით?

— ზოგადად, მოსამზადებელი ეტაპი ნორმალურად მიმდინარეობს, მაგრამ უკვე რადენი ხანია, საქართველოში ვმუშაობ და ოპტიმალური შემადგენლობის თავმოყრა ვერ მოვახერხე. ეს, რა თქმა უნდა, ხელს მიშლის. სამაგიეროდ, გამოვცადე ბევრი ახალგაზრდა, რამაც სიღრმეებში ჩახედვის საშუალება მოგვცა. სასიხარულოა ის ფაქტი, რომ ეს ახალგაზრდები თამაშიდან თამაშამდე უმატებენ და, ჩემდა გასაკვირად, ყველაფერს ღრუბელივით ისრუტავენ. .

— ქართველი ლეგიონერების აბსოლუტური უმრავლესობა საფრანგეთში თამაშობს. არის შანსი, რომ ავსტრალიურ სატრანსფერო ბაზარზეც გავიდეთ?

— ავსტრალიაში ქართველი მოთამაშეების მიმართ ინტერესი სერიოზულია. განსაკუთრებით აინტერესებთ მორკინალები. კონკრეტული წინადადებებიც არის. მხოლოდ დეტალებია შესათანხმებელი.

— თქვენი ოჯახის და შესახებ გვითხარით, ვიცით, რომ თქვენი ბიჭი მორაგბეა...

— ჩემი შვილი 17 წლისაა და ბიშოპის სარაგბო სკოლის გუნდში 10 ნომრად თამაშობს. კარგი სეზონი ჩაატარა. გაისად ალბათ კაპიტნადაც დანიშნავენ. რაც შეეხება ჩემს ოჯახს, მიჭირს მათ გარეშე, მაგრამ ჩემი ამჟამინდელი სამუშაო გრაფიკი ოპტიმალურად მიმაჩნია. ექვსი თვე აქ ვარ და ექვსი თვე ავსტრალიაში. სამშობლოში ჩასული ვიმუხტები და მეორე სამშობლოში, საქართველოში ისე მოვდივარ.

— თემას გადავუხვევთ და გკითხავთ. როგორი გამოხმაურება ჰქონდა ავსტრალიაში რუსულ აგრესია?

— დიდი რეზონანსი გამოიწვია. სრულიად უცნობი ადამიანებისგან მომდიოდა წერილები. ისინი შეშფოთებულები იყვნენ მომხდარით და მხარს უჭერდნენ საქართველოს.

*გია ნიჟარაძე:* მინდა, შოტლანდიაში ჩასატარებელ შეხვედრებზე გითხრათ. როგორც იცით, გვექნება ორი მატჩი. 14 ნოემბერს გლაზგოში შოტლანდიის A ნაკრებთან და 18 ნოემბერს ედინბურგში ამ ქალაქის კლუბების ნაკრებთან. საყურადღებოა ისიც, რომ ეს არ არის ჩვეულებრივი ტესტ-მატჩები. ამხანაგური თამაშებია და ამიტომ IRB-ს სანქციები კლუბების მიმართ მოთამაშეთა არგაშვების შემთხვევაში არ მოქმედებს. ამიტომ არის, რომ ოპტიმალური შემადგენლობა ვერ შევკრიბეთ. არ გვეყოლებიან ისეთ მორაგბეები, როგორებიც არიან გოდერძი შველიძე, დავით ზირაქაშვილი, დავით მუხრიაშვილი, ირაკლი გორგოძე, მალხაზ ურჯუკაშვილი... ეს სია კიდევ არასრულია. შოტლანდიაში თამაშის გარდა სხვა მიზეზებიც გვაქვს. გვინდა, რომ იქაურ სარაგბო ბაზარზე შესასვლელი გზები მოვნახოთ.

**ზურაბ მიგრიაული**



ტიმ ლეინი და გია ნიჟარაძე

### საქართველოს ნაკრების საშოტლანდიო შემადგენლობა

დავით გასვიანი, იური ნატრიაშვილი, გურამ კავთიძე, დავით დადუნაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ვასილი კაკოვინი, კახა უჩავა, გიორგი ნემსაძე, ლევან დათუნაშვილი, შალვა სუთიაშვილი, სიმონ მაისურაძე, გიორგი ჩხაიძე, დიმიტრი ბასილაია, რატი ურუშაძე, ბესიკ უდესიანი, ირაკლი აბუსერიძე, ბიძინა სამხარაძე, ლაშა მალალურაძე, მერაბ კვირიკაშვილი, დავით კაჭარავა, ალექსანდრე თოდუა, გიორგი შკინინი, ირაკლი მაჩხანელი, ირაკლი ჩხიკვაძე, ოთარ ბარკალაია, ლაშა ხმალაძე.

| ლოკომოტივი | | ლელო |
|---|---|---|
| გიორგი ასათიანი | 15 | ირაკლი ყიასაშვილი |
| ალექსანდრე ტუჩაშვილი | 14 | გოდერძი ჯოგლიძე |
| გიორგი კობერიძე | 13 | ალექსანდრე თოდუა |
| ვასილ ბერძენიშვილი | 12 | გიორგი ლომინაძე |
| დავით ჟამუტაშვილი | 11 | თორნიკე ცერცვაძე |
| ბობა კვინიხიძე | 10 | ლაშა ხმალაძე |
| ირაკლი ღვინჯილია | 9 | ლევან გოგია |
| ზვიად მაისურაძე | 8 | ვიქტორ კოლელიშვილი |
| ვახტანგ აბვლედიანი | 7 | დავით დაუშვილი |
| ლევან გენებაშვილი | 6 | ილია მაისურაძე |
| გიორგი ნიშნიანიძე | 5 | ვახტანგ მაისურაძე |
| დავით ჩიტიძე | 4 | ირაკლი დაუშვილი |
| გიორგი ნაცარაშვილი | 3 | მიხეილ სუჯაშვილი |
| ოთარ ტურაშვილი | 2 | შოთა ცხოვრებაშვილი |
| ზერო პეტრიაშვილი | 1 | ბადრი ყალიჩავა |

ახლახან საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტად გია ნაცვლიშვილი აირჩიეს. ნაცვლიშვილი წინა საარჩევნო კამპანიის დროს ერთ-ერთ ძირითად საკითხად წყალბურთელთა ეროვნული ნაკრების აღორძინებას და ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიისვის ბრძოლას ასახელებდა. ამ საქმეში მთავარი როლი კი ცნობილ წყალბურთელს ამჟამად რუსულ „შტურმში“ მოთამაშე 35 წლის რევაზ ჩომახიძეს უნდა შეესრულებინა. ნაცვლიშვილმა არჩევნების წინ თავის სამოქმედო გეგმებზე საუბრის დროს თქვა, რომ ჩომახიძეს უკრაინაში ესაუბრა და ძალიან ბევრი საკითხია შეთანხმებული, თუმცა მოლაპარაკება კიდევ გრძელდება.

გუშინ რევაზ ჩომახიძეს რუსეთში შევეხმიანეთ და უფრო კონკრეტული ამბებიც მისგან მოვისმინეთ — თუმცა მანამ საქართველოს ნაკრებში მის მწვრთნელად დანიშნვის საკითხს შევეხებოდით, საკლუბო ამბები გამოვკითხეთ. რეზო ხომ იქაური „შტურმის“ ლიდერია...



# აუზი, ფული და დრო

## რევაზ ჩომახიძის შტურმიც მაშინ დამთავრდება

— ჩემპიონატში რამდენიმე ტური გაიმართა და მეორე ადგილზე ვართ. ლიდერ „ვოლგოგრადს“ ორი ქულით ჩამოვრჩებით. ამ დრომდე ორი მნიშვნელოვანი თამაში გვქონდა — „დინამოს“ მოვუგეთ, „ვოლგოგრადთან“ კი დავმარცხდით. მალე „კაზანთან“ სტუმრად მოგვიწევს სერიოზული თამაში. ჯერ ვერაფერი გაირკვევა, ჩემპიონატი ახალი დაწყებულია. საჩემპიონო ბრძოლა გაზაფხულზე პლეი ოფიდან გახურდება.

— ჩემპიონატი ახალი დაწყებულია, მაგრამ კმაყოფილი ხარ შენი გუნდის თამაშით?

— არა, იგივეს ფიქრობდა ჩვენი ხელმძღვანელობაც, ამიტომაც ორი კვირაა, რაც ახალი მწვრთნელი მოგვიყვანეს: ჩერნოგორიის ნაკრების თავკაცი პერო პოროვიჩი. ძალიან კარგი სპეციალისტია და იმედი გვაქვს, რომ სიტუაცია გაუმჯობესდება.

— პოროვიჩი ჩერნოგორიის ნაკრებიდან წამოვიდა თუ ორივეგან იმუშავებს?

— ორივეგან. ამის პრობლემა არ არის. ზაფხულში იქ იქნება, მანამდე კი ჩვენ გუნდს ავარჯიშებს.

— ისე, საჩემპიონო ბრძოლაში მთავარ კონკურენტებად ვის მიიჩნევ, ადრე გვითხარი, „კაზანს“ კარგი გუნდი ჰყავსო.

— ჩვენ, „კაზანი“, „ვოლგოგრადი“ და „დინამო“ — ჩემპიონი მათ შორის გაირკვევა. საერთოდ ამ გუნდებს და დანარჩენებს შორის კლასში სხვაობა ძალიან დიდია. მათთან თამაშის დროს პრობლემა არ გვექნება. ისიცაა, რომ ოთხივე ლიდერ გუნდს დუბლების შემადგენლობა გვყავს უმაღლეს ლიგაში და მათთან დაპირისპირება ფორმალობა გამოდის... ჩემპიონის ბედი კი გაზაფხულზე გამოვლინდება, პლეი ოფში ოთხი გუნდი გადის და იქ ირკვევა ყველაფერი.

— ჩემპიონთა ლიგასაც თამაშობთ. აქცენტს რუსეთის ჩემპიონატზე გააკეთებთ თუ ლიგაზეც სერიოზულად ფიქრობთ. გეყოფათ ძალები ორივე ტურნირზე?

— 9 ნოემბერს კენჭისყრა იქნება და ჩვენი ჯგუფი გაირკვევა. გვინდა, რომ საუკეთესო ოთხ გუნდში მოვხვდეთ. თუმც ხელმძღვანელები არც იმით იქნებიან უკმაყოფილონი, თუ ჯგუფურ ეტაპს დავძლევთ. მთავარი კი მაინც რუსეთის ჩემპიონობაა. ასევე სერიოზულად ვფიქრობთ რუსეთის თასზეც, რომელიც დეკემბერში გაიმართება.

— მოდი, ახლა ქართულ წყალბურთზეც ვთქვათ. ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა გია ნაცვლიშვილმა თქვა, რომ გესაუბრათ და გარკვეულ საკითხებზე შეთანხმდით?

— გია ნაცვლიშვილს ოლიმპიური კომიტეტის არჩევნებამდე კიევში შევხვდი — ჯერჯერობით საკითხი ბოლომდე გადაწყვეტილი არ არის. ყველაფერი მოლაპარაკების სტადიაშია. მე გავაცანი გეგმები, რა უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ შედეგი გვქონდეს და ჩემი პირობებიც, რა შემთხვევაში დავთანხმდები ჩამოსვლას.

— იქნებ ჩვენც გვითხრა...

— არც ღირს თქმა, რომ ნაკრებისთვის აუზი აუცილებლად ცალკე უნდა იყოს. და ის ელემენტარული პირობები, რაც საჭიროა ნორმალურ სიტუაციაში სამუშაოდ. აგრეთვე გვინდა გარკვეული ბიუჯეტი, რომელიც ნაკრების თამაშებს მოხმარდება საერთაშორისო დონეზე. ეს ბიჭებს ძალიან აკლიათ.

— როდის გაირკვევა ყველაფერი?

— ჯერ კიდევ მოლაპარაკების სტადიაში ვართ და თან 2010 წლის მაისამდე ჩემ გუნდთან კონტრაქტი მაქვს. თუმც თუ შეთანხმება შედგა, მაშინ თეორიულად არის შესაძლებლობა, რომ კონტრაქტის ამოწურვამდე ჩამოვიდე. რაც შემიძლია ვთქვა, ისაა, რომ დავეხმარები რჩევებითა და კონტაქტების დამყარებით.

— და რა გითხრათ გია ნაცვლიშვილმა?

— მან დრო ითხოვა იმისთვის, რომ საბოლოო პასუხი მითხრას.

— ეს დრო რამდენია?

— ყველაფერი რამდენიმე თვეში გაირკვევა...

**ლევსო მაისურაძე**



# ტოჩინოშინი ნოემბერს ზემოდან იწყებს



**კვირას**, 9 ნოემბერს, იაპონიაში, ქალაქ ფუკუოკაში, 2008 წლის სუმოს ბოლო დიდი ტურნირი დაიწყება, რომელიც 23 ნოემბერს დასრულდება.

უმაღლეს მაკუუჩი დივიზიონში უკვე მეოთხე ტურნირს ჩაატარებს ერთდროულად ორი ქართველი რიკიში — ლევან ცაგურია (კოკაი) და ლევან გორგაძე (ტოჩინოშინი).

ამათგან რეიტინგში უფრო წინ ამ დროისთვის სწორედ გორგაძეა, რომელიც უკვე დასავლეთის მეოთხე მაეგაშირაა. მისი პირველი მეტოქე კვირას აღმოსავლეთის მეოთხე მაეგაშირა კოსენოსატო იქნება, ის უკვე საკმაოდ გამოცდილი მებრძოლია და ერთი პერიოდი კომისუბას ტიტულამდეც კი მიაღწია. მაკუუჩი დივიზიონში 2004 წლიდან ჭიდაობს.

პირველ საშეჯიბრო დღეს კოკაის, დასავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა კორიუსთან მოუწევს შებმა. თვითონ ცაგურია ამ დროისთვის აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგეშირა გახლავთ. მისი მომავალი მოწინაამდეგე 24 წლის მონღოლია, რომელიც რვა წელია, სუმოშია, მაგრამ მაკუუჩიში მხოლოდ ახლახა აალწია. რეიტინგში კი სწორედ ამ მომენტისთვისაა საუკეთესო პოზიციაზე.

ნოემბრის ბაშო დაძაბული და საინტერესო უნდა გამოვიდეს. კარგი იქნება, თუ ქართველი სუმოისტები კარგად იჭიდავებენ და წინა, სექტემბრის ბაშოს მსგავსად, დადებითი ბალანსით დაასრულებენ ტურნირს.

ისევ მაკუშიტა დივიზიონში იასპარეზებს მესამე ქართველი, თეიმურაზ ჯუღელი (გაგამარუ), რომელიც წინა ბაშო დადებითი ბალანსით დაასრულა და ახლა რეიტინგშიც წინაა წასული.

მაკუშიტა დივიზიონი სუმოს იაპონურ იერარქიაში რანგით მესამეა. უკვე რამდენიმე წელია, სწორედ აქ გამოდის გაგამარუ.

**გიორგი არაგული**



## ეკა გორგოძე მეოთხედფინალშია

**გერმანიაში**, ქალაქ რეგენსბურგში მიმდინარე 50 000-დოლარიან ტურნირზე ჩვენი პირველი ნომერი მაკა ჩახნაშვილი გამოდიოდა და მალევე დაემშვიდობა მას. მაკა ერთეულთა შეჯიბრში ტურნირზე მეშვიდე ნომრად მიჩნეულ ბრიტანელ ელენა ბალტაჩას დაუპირისპირდა და 4:6 4:6 წააგო.

ჩახნაშვილი წყვილებშიც ჩოგნაობდა და უკრაინელ ბეიგელციმერთან იყო შეამხანაგებული. მათ სლოვენიურ ტანდემთან — მარი-პესკარჩთან — 1:6 4:6 დათმეს მატჩი და ტურნირს ხელი დაუქნიეს.

გერმანიიდან ესპანეთში გადავინაცვლოთ და კუნძულ მალიორკაზე მიმდინარე 10 000-დოლარიანი ტურნირის ამბები ვთქვათ.

16 წლის ეკატერინე გორგოძემ მიჯრით ორი თამაში მოიგო და მეოთხედფინალში გავიდა. ქართველმა პირველ წრეში ტურნირის პირველი ნომერი, იტალიელი ანა ფლორისი დაძაბულ მატჩში 6:7 6:4 7:6 დაამარცხა, მერვედფინალში კი ესპანელ კაროლინა პრატს-მილანის 6:3 6:4 აჯობა.

მეოთხედფინალში ეკატერინე გორგოძის შეჩერებას უკრაინელი კატერინა ავდიენკო შეეცდება.

ამერიკაში კი ანა ტატიშვილი ამერიკელ მელისონ ბრენგლესთან ერთად, ქალაქ ობორნში მიმდინარე ტურნირს გამოეთიშა. რუსი ჟიდკოვასა და უკრაინელი ლუჟანსკის 6:4 6:7 10:5 დამარცხების შემდეგ, ტატიშვილი და ბრენგლე ტურნირზე პირველ ნომრად განთესილ მასპინძლებთან — კოპს-ჯოუნსთან და სპირსთან — სათამაშოდ არ გამოცხადდნენ. რაც შეეხება ერთეულთა შეჯიბრს, აქ ანამ, რომელიც მეექვსე ნომრად იყო განთესილი, ამერიკელ ანჯელა ჰეინსთან 5:7 6:5 3:6 წააგო.



## ოლიმპიური საქართველო

**საქართველოს** მოჭადრაკეთა ნაკრებებმა 2008 წლის ოლიმპიადისთვის მზადება დაასრულა. მოჭადრაკეებმა 12-დღიანი შეკრება ბაკურიანში, სასტუმრო „ვიქტორიაში“ გაიარეს. ბაკურიანის შეკრებაზე ნაკრების ყველა წევრი ემზადებოდა ბარსელონაში ტურნირზე მყოფი ბაადურ ჯობავას და ამერიკაში მცხოვრები ზვიად იზორიას გარდა.

აქვე ვთქვათ, რომ ოლიმპიადას 12-25 ნოემბერს გერმანიის ქალაქი დრეზდენი უმასპინძლებს. ჩვენი ნაკრები გერმანიაში 11 ნოემბერს წავა. ოლიმპიადაზე საქართველოს ნაკრების სახელით ეს მოჭადრაკეები ითამაშებენ: კაცები — ბაადურ ჯობავა, ზვიად იზორია, მიხეილ მჭედლიშვილი, ლევან ფანცულაია. *სათადარიგო:* დავით არუთინიანი. *კაპიტანი:* ზურაბ სტურუა. *მწვრთნელი:* ხვიჩა სუპატაშვილი. ქალები: მაია ჩიბურდანიძე, ლელა ჯავახიშვილი, ნანა ძაგნიძე, მაია ლომინეიშვილი. *სათადარიგო:* სოფო ხუხაშვილი. *კაპიტანი:* ნინო გურული. *მწვრთნელი:* თორნიკე სანიკიძე.

სროლა

# ნინოს მეოთხე თასის ფინალში



**ტაილანდის** დედაქალაქ ბანკოგში მსოფლიოს თასის ფინალი გაიმართა ტყვიის მსროლელთა შორის. ჩვენმა ნინო სალუქვაძემ 482,0 ქულა დააგროვა და მეოთხე ადგილზე გავიდა. არადა, კარგი შანსი ჰქონდა, ბრინჯაოს მედალი აეღო.

სათქმელია, რომ მსოფლიოს თასზე, რომელიც სეზონის ბოლო ტურნირია, ძალების გამოცდა მხოლოდ თასის ეტაპების მიხედვით რჩეულებს და ოლიმპიურ პრიზიორებს შეეძლოთ. რა შეხსენება უნდა, მაგრამ მაინც — სალუქვაძემ პეკინში ბრინჯაოს მედალი აიღო...

ქართველმა მსროლელმა მხოლოდ 10 მეტრიდან პნევმატური იარაღით სროლაში სცადა ძალა, რადგან 25 მეტრიდან სპორტული პისტოლეტით სროლაში მონაწილეობის მისაღებად კოეფიციენტი არ ეყო.

10 მეტრიდან პნევმატურ სროლაში 10 მონაწილე გამოდიოდა. საკვალიფიკაციო სროლებში სალუქვაძემ ასეთი შედეგი აჩვენა: 96, 96, 94 და 98. ჯამში 384 ქულა დააგროვა და საკვალიფიკაციოს შემდეგ ნინოს მხოლოდ ფრანგი სტეფანი ტიროდე (389) და ჩინელი იე რენი (იგივე შედეგი) უსწრებდნენ.

ფინალურ სერიაში კი ქართველ მსროლელს 98 ქულა დაუგროვდა — ჯამში 482,0 და მეოთხე ადგილი.

გამარჯვებული ჩინელი იე რენი გახდა 488,4 ქულით. ვერცხლის მედალი იტალიელ სტეფანი ტიროდეს ერგო (486,5 ქულა) ბრინჯაო — პეკინის ოლიმპიადის მომგებ ჩინელ ვენიენ გუოს (481,6).

**ნიკა კოპაძე**

ხელბურთი

# წლეულს მესამე

22 ნოემბერს საქართველოს ხელბურთის ფედერაციის სანგარიშო-საარჩევნო ყრილობაა და ქართულ ხელბურთს წლეულს უკვე მესამე პრეზიდენტი ეყოლება.

შეგახსენებთ, რომ ხელბურთის ფედერაციაში წინა საპრეზიდენტო არჩევნები ივნისის ბოლოს გაიმართა, რაკი პრეზიდენტმა თამაზ თევზაძემ პოსტი პირადი პრობლემების გამო დატოვა. ივნისში დროებით თავკაცად ყოფილი მკლავჭიდელი ზაურ ცხადაძე აირჩიეს.

როგორც ჩანს, ცხადაძე სულ რაღაც სამი თვით უთავკაცებს ქართულ ხელბურთს, რადგან 22 ნოემბერს დანიშნულ ყრილობაზე პრეზიდენტობის სურვილი მხოლოდ ერთმა კანდიდატმა, ზაზა დოლიძემ გამოთქვა. რეგისტრაციის ვადა კი გუშინ ამოიწურა.

ზაზა დოლიძე წლების წინ საქართველოს ხელბურთის ნაკრებს წვრთნიდა. ბოლოს კი თბილისის მერიის სპორტის სამსახურს ხელმძღვანელობდა.

ფრენბურთი



# საქა-რთველოს ფული და ქულები

**ჩვენმა** პლაჟბურთელებმა კრისტინამ და ანდრეზამ ტაილანდში ჩატარებულ მსოფლიო ტურის ეტაპზე მეცხრე-მეთორმეტე ადგილი დაიკავეს და 240 სარეიტინგო ქულასთან ერთად 5 500 დოლარიც მიიღეს.

თავიდან ქართველმა პლაჟბურთელებმა პოლონელ და ჰოლანდიელ მეტოქეებს მოუგეს და მესამე რაუნდში გავიდნენ, მაგრამ მერე ზედიზედ ორი თამაში წააგეს — ჯერ ამერიკელებთან, ბრანასა და ტარნერის დუეტთან 0:2, მერე კი პირველ ნომრად განთესილ ბრაზილიელებთან, მარია კლარასთან და კეროლთან ასევე 0:2 დამარცხდნენ და ტურნირს დაემშვიდობნენ.

**ნიკა კოპაძე**

კალათბურთი



საქართველოს სასოფლო-სამეურნეო სახელმწიფო უნივერსიტეტის 21 წლის ახალგაზრდა, ნიჭიერ ფორვარდს **მიხეილ ბერიშვილს** წლეულს ეროვნულ ნაკრებში დებიუტი ჰქონდა. ბავშვობაში კალათბურთით გატაცება, მისთვის ერთგვარი ჰობი იყო, მაგრამ გავიდა წლები და მიხვდა, რომ სპორტის ამ სახეობისადმი მისმა ინტერესმა საკმაოდ სერიოზული სახე მიიღო. უბრალოდ, მას ველარც კი წარმოუდგენია კალათბურთის გარეშე ცხოვრება. მიხეილ ბერიშვილი განათლებით იურისტია, თუმცა არ ამ პროფესიით მუშაობა სურს, თუნდაც გაცილებით მაღალი ანაზღაურების ხათრით, რადგან მისთვის ფულთან ერთად, ის სიამოვნებაც აუცილებელია, რომელსაც სპორტი ანიჭებს

# იურისტი მიხეილ ბერიშვილი ბურთს ფულზე არ გაცვლის

— როგორ დაიწყო შენი სპორტული კარიერა?

— 7 წლის ვიყავი ჩოგბურთის თამაში რომ დავიწყე. წელიწადნახევარი ვთამაშობდი, შემდეგ მწვრთნელი გარდამეცვალა და გაგრძელება აღარ მოვინდომე. დავრჩი სპორტის გარეშე. ეს ჩემთვის დიდი ტრაგედია იყო. ერთხელაც ნოდარ ქორქიამ, ოჯახის მეგობარმა და ყოფილმა კალათბურთელმა, წამიყვანა თავისი გუნდის თამაშზე. მამაც ყოფილი კალათბურთელი მყავს... მასაც უნდოდა ამ სპორტით ჩემი დაინტერესება. კალათბურთით მეც მოვიხიბლე. 9 წლიდან ვთამაშობ და პროფესიონალად ვყალიბდები. ანუ ბავშვურ გატაცებას უკვე პროფესიონალიზმი ცვლის.

— რა განათლება გაქვს მიღებული?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისი სახელმწიფო უნივერსიტეტში ვსწავლობდი, იურიდიულ ფაკულტეტზე, მაგრამ ჩემი პროფესიით არასოდეს მიმუშავია და, ალბათ, არც ვიმუშავებ, რადგან კალათბურთს უდიდესი ადგილი უჭირავს ჩემს ცხოვრებაში და ვფიქრობ, ყოველთვის ასე იქნება. იურიდიულ ფაკულტეტზე ოჯახის გადაწყვეტილებით ჩავაბარე, მაგრამ დაუსწრებელზე ვსწავლობდი. ჩემ კალათბურთელად ჩამოყალიბებაშიც დიდი როლი ოჯახს მიუძღვის, ჰოდა, მე კალათბურთელობას ვამჯობინებ.

— ხშირად გიწევდა საზღვარგარეთ თამაში?

— მახსოვს, პირველი გასვლითი თამაში იტალიაში მქონდა. 12 წლიდან „აკადემიასთან" ერთად დავდიოდი სათამაშოდ სხვადასხვა ქვეყანაში. ბევრგან ვარ ნამყოფი, თუმცა კლუბში ჯერ არ მითამაშია.

— უცხოური კლუბებიდან არ გქონია შემოთავაზებები?

— რასაკვირველია, იყო და არის, მაგარმ რატომღაც ყოველთვის ვიკავებ თავს... ახლაც მაქვს ერთი წინადადება, რომელზეც ვფიქრობ, მაგრამ მისი გაცხადებისგანაც ჯერ თავს შევიკავებ.

— წელს პირველად ითამაშე ეროვნულ ნაკრებში...

— ნაკრები ერთი ოჯახივითაა. ერთობა კი ძლიერების საწინდარია. ბიჭები ერთმანეთთან ძალიან მეგობრულად ვართ და ეს, პირველ რიგში, მწვრთნელის, იგორ კოკოშკოვის, დამსახურებაა.

— რას გვეტყვი — „სსსსუ-ზე"? რა დონის გუნდია და რა პერსპექტივა გაქვთ?

— „სასოფლო" ახალგაზრდული გუნდია და ვფიქრობ, თანდათან უფრო დაიხვეწება. მონდომებით ვვარჯიშობთ. გუნდშიც მეგობრული ატმოსფეროა და, რასაკვირველია, პრეტენზიაც გვაქვს პირველობაზე.

— რა კუთხით იცვლება კალათბურთი საქართველოში?

— კალათბურთი საკმაოდ პერსპექტიული სპორტია, თუმცა ფინანსების პრობლემა კვლავ გადაუჭრელი რჩება, მაგრამ ვფიქრობ, ეს გამოსწორდება. ადრე გაცილებით რთულ პირობებში გვიწევდა ვარჯიში. დარბაზები არ თბებოდა და იმდენად ციოდა, რომ ხელთათმანებით ვვარჯიშობდით. ამ მხრივ დღეს უკეთესობაა.

**ანა მახარაშვილი**

# კუპატაძეა? აბა, წააგებენ!

**ხვალ** სპორტის სასახლეში სუპერლიგის მე-4 ტურის თამაშები ჩატარდება. გუშინ კი ტურისწინა პრესკონფერენცია გაიმართა, რომელზეც ორი გუნდის — თსუ-სა და „ენერჯი ინვესტის" — მწვრთნელებმა ილაპარაკეს მომავალი მატჩების შესახებ.

თსუ-ს ორი მარცხის შემდეგ ისევ ერთ-ერთ უძლიერეს გუნდთან უწევს თამაში. მოსალოდნელ შედეგსა და გუნდის მდგომარეობაზე ნუგზარ ჭეიშვილმა ისაუბრა. რუსთაველთაგან კი პრესკონფერენციაზე მწვრთნელის გარდა „ენერჯი-ინვესტის" კაპიტანი კოტე ტულუშიც იმყოფებოდა.

*ნუგზარ ჭეიშვილი, თსუ-ს მთავარი მწვრთნელი:* გვაქვს პრობლემები, ტრავმირებულები არიან შანიძე და ბერიშვილი. გუნდი მთელი დატვირთვით ვარჯიშობს. საერთო ფიზიკური მდგომარეობა ურიგო არ გვაქვს, თუმც გარკვეული ფსიქოლოგიური მომენტია, გააჩნია, ვინ იმსაჯებს. ყველა თამაშში, რომლებიც მაკა კუპატაძემ გასაჯა, დავმარცხდით. ვაღიარებ, კუპატაძე ეროვნული ჩემპიონატის მსაჯებს შორის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერია. თუმცა მას ხშირად აბრალებენ, რომ ჩვენი მსაჯია და შესაბამისად, ისიც სულ ცდილობს, საპირისპირო დაამტკიცოს. სხვა მხრივ კი, გუნდი მოტივირებულია და მოსაგებად იბრძოლებს.

*დავით უსტიაშვილი, „ენერჯი-ინვესტის" მთავარი მწვრთნელი:* მოთამაშეთა ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ტრავმები არ გვაქვს. საბრძოლო განწყობა არ გვაკლია. წრის დასრულებამდე ორი ტური დარჩა, ორივე თამაში მნიშვნელოვანია. თსუსთან კვირას მნიშვნელოვანი და კარგი თამაში გველოდება, თუმც ჩვენს გუნდს უფრო მეტ შანსს მივცემდი.

*კოტე ტულუში, „ენერჯი ინვესტის" კაპიტანი:* გუნდი მოტივირებული და ფიზიკურად მომზადებულია. აქამდე სუპერლიგის ყველა თამაში მოვიგეთ. ჩვენ ჩემპიონობას ვაპირებთ და გვინდა, დაუმარცხებლად დავასრულოთ სეზონი.


ნუგზარ ჭეიშვილი

**სალომე კლდიაშვილი**

# ევროლიგა

პირველი ჯგუფური ეტაპი. III ტური. 5-6 ნოემბერი

# მარტო ზანგი რას უშველით

## A ჯგუფი

**მაკაბი 82:80 ლე მანი**
მაკაბი: ფიშერი (20), აროიო (19)
ლე მანი: ბლუტენტალი (23), შასე (14), დიოტი (11)

**ციბონა 85:76 ოლიმპიაკოსი**
ციბონა: კელოვეი (19), პრკაჩინი (13), მარშალი (13), კუსი (12)
ოლიმპიაკოსი: ბურუსისი (14), გრირი (14), პრინტეზისი (11)

**აველინო 72:70 უნიკახა**
აველინო: ვარენი (24), სლეი (13), უილიამსი (12)
უნიკახა: ჰეისლიპი (14), დონგი (13)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ციბონა | 3 | 3 | 0 | +15 | 6 |
| ოლიმპიაკოსი | 3 | 2 | 1 | +16 | 5 |
| მაკაბი | 3 | 2 | 1 | +7 | 5 |
| უნიკახა | 3 | 1 | 2 | -8 | 4 |
| აველინო | 3 | 1 | 2 | -19 | 4 |
| ლე მანი | 3 | 0 | 3 | -11 | 3 |

## B ჯგუფი

**მონტეპასკი 71:61 ბარსელონა**
მონტეპასკი: დომერკანტი (19), ლავრინოვიჩი (12), სატო (11)
ბარსელონა: ილიასოვა (14), ლაკოვიჩი (12)

**პროკომი 65:60 ჟალგირისი**
პროკომი: იუინგი (19), ლოგანი (14), ბარელი (11)
ჟალგირისი: სელენგა (17), მასიულისი (15), იანავიჩუსი (10)

**ნანსი 70:80 პანათინაიკოსი**
ნანსი: გრირი (26), შიკამბო (18)
პანათინაიკოსი: ბატისტე (18), დიამანტიდისი (14), ცარცარისი (11)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| მონტეპასკი | 3 | 3 | 0 | +45 | 6 |
| ბარსელონა | 3 | 2 | 1 | +42 | 5 |
| პროკომი | 3 | 2 | 1 | +25 | 5 |
| პანათინაიკოსი | 3 | 2 | 1 | +13 | 5 |
| ჟალგირისი | 3 | 0 | 3 | -58 | 3 |
| ნანსი | 3 | 0 | 3 | -67 | 3 |

## C ჯგუფი

**ოლიმპია 67:78 ლოტომანიკა**
ოლიმპია: ბეგიჩი (16), მილიჩი (14), ილიევსკი (13)
ლოტომანიკა: ბეჩიროვიჩი (23), ჯენინგსი (14), ბრეჟეცი (10), დე ლა ფუენტე (10)

**ტაუ 106:65 ალბა**
ტაუ: რაკოჩევიჩი (27), ვიდალი (17), ტელეტოვიჩი (14), სპლიტერი (13)
ალბა: სისი (11), მაკელროი (10), ნადფეჯი (10)

**ხუვენტუდი 67:70 ულქერი**
ხუვენტუდი: იასაიტისი (15), მალეტი (13), რაიტი (10)
ულქერი: პრელჟიჩი (17), სმიტი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ტაუ | 3 | 3 | 0 | +52 | 6 |
| ლოტომატიკა | 3 | 2 | 1 | +20 | 5 |
| ულქერი | 3 | 2 | 1 | +2 | 5 |
| ხუვენტუდი | 3 | 1 | 2 | 0 | 4 |
| ალბა | 3 | 1 | 2 | -45 | 4 |
| ოლიმპია | 3 | 0 | 3 | -29 | 3 |

## D ჯგუფი

**ეფესი 69:78 პანიონიოსი**
ეფესი: გონლუმი (13), ვუიაჩიჩი (11), შუმპერტი (10), ტორნტონი (10)
პანიონიოსი: ბაქსტერი (18), კალამპოკისი (17), მაილზი (15)

**რეალი 54:58 ცსკა**
რეალი: მუმბრუ (10), რეიესი (10)
ცსკა: პლანინიჩი (13), შიშკაუსკასი (11)

**პარტიზანი 81:76 მილანო**
პარტიზანი: ველიკოვიჩი (14), რასიჩი (12), ლასმე (12), ტეპიჩი (11)
მილანო: ტომასი (27), ჰოკინსი (14), ბერდი (10)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 3 | 3 | 0 | +64 | 6 |
| პარტიზანი | 3 | 2 | 1 | +8 | 5 |
| ეფესი | 3 | 2 | 1 | +2 | 5 |
| რეალი | 3 | 1 | 2 | +13 | 4 |
| პანიონიოსი | 3 | 1 | 2 | -46 | 4 |
| მილანო | 3 | 0 | 3 | -41 | 3 |

**„ატლანტა ჰოუქსის“**
ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშის, ჯოშ ჩილდრესის გადაბირება ბერძნულ „ოლიმპიაკოსს“ ორ წელიწადში 18 მილიონი კი დაუჯდა, რაც ევროპაში ასტრონომიული ფულია, მაგრამ ბერძნულ გუნდს ესეც ვერ აძლევს დიდი წარმატების მიღწევის მყარ გარანტიას. ჩილდრესის კარგი თამაში პირველი ორი მატჩის მოგებაში დაეხმარა, მესამე ჯერზე კი ამერიკელი ჩაფლავდა, ხორვატიულ „ციბონასთან“ გასვლაზე მხოლოდ 8 ქულა გააკეთა და ბერძნებიც პირველად დამარცხდნენ ევროლიგის ჯგუფურ ეტაპზე, ხოლო „ციბონამ“ ამ გამარჯვების წყალობით პირველი საფეხური დაიკავა და პრაქტიკულად, გაინაღდა ჯგუფიდან გასვლა. გასვლით, ალბათ, „ოლიმპიაკოსიც“ გავა, რამ (ვინ) უნდა შეუშალოს ხელი პირველ ოთხეულში მოხვედრაზე: ფრანგული აუტსაიდერი „ლე მანი“ ერთთავად აგებს, „აველინო“ და „უნიკახა“ კი მის გარდა, ალბათ, მხოლოდ ერთმანეთს თუ აჯობებენ.

„ციბონას“ დარად, ყველა ჯგუფს ჰყავს თავისი დაუმარცხებელი ლიდერი. ესენი არიან იტალიური „მონტეპასკი“, ესპანური „ტაუ“ და რუსული ცსკა და ამათი მეორე ეტაპზე გასვლა ნამდვილად არ დგას ეჭვქვეშ. გარკვეულწილად, ინტრიგა დაკარგა B ჯგუფმა, რომელშიც მესამე ტურმა გამოკვეთა ოთხი გამსვლელი და ორი აუტსაიდერი. „ლე მანის“ მსგავსად, ჯერაც გაუხარელია საფრანგეთის კიდევ ერთი წარმომადგენელი „ნანსი“ და ეს კიდევ უფრო ამყარებს ზოგად წარმოდგენას — ფრანგული კლუბები ყველაზე სუსტები არიან ევროპის ყველაზე ძლიერ საკალათბურთო ლიგათა წარგზავნილებს შორის.

„ფრანგების“ გვერდით ვახსენოთ კიდევ ერთი გაუხარელი გუნდი, ოდესღაც ქართველთა ევროპული ხიდი, სლოვენიური „ოლიმპია“.




# NBA რეგულარული ჩემპიონატი

6 ნოემბერი

**ორლანდო 98:88 ფილადელფია**
ორლანდო: ლუისი (20), თურქოღლუ (20), ნელსონი (16), ჰოვარდი (14)
ფილადელფია: იანგი (19), იგუდალა (16 ქულა, 11 მოხსნა, 8 პასი), მილერი (15)

**ორლანდო 101:99 ჰიუსტონი**
ორლანდო: ოლდრიჯი (27), როი (17), ფერნანდესი (15), აუთლოო (14 ქულა, 13 მოხსნა)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (30 ქულა, 8 პასი, 7 მოხსნა), სკოლა (14), ბრუქსი (14)

ჰოკეი

# რეგულარული ჩემპიონატი

6 ნოემბერი

**ატლანტა 4:3 აილენდერსი**
1:1 0:2 3:0
0:1 სიმი (3), 1:1 კოზლოვი (5), 1:2 ნილსენი (30), 1:3 პანტერი (30), 2:3 კოზლოვი (41), 3:3 უილიამსი (42), 4:3 ენსტრომი (52)

**ბოსტონი 5:2 ტორონტო**
2:0 1:0 2:2
1:0 ვაიდმენი (6), 2:0 ვილერი (8), 3:0 ვილერი (26), 3:1 სტინი (43), 4:1 ხარა (58), 4:2 გრაბოვსკი (59), 5:2 ვილერი (60)

**ვაშინგტონი 3:2 კაროლინა**
0:1 1:1 2:0
0:1 უოკერი (3), 1:1 ფიოდოროვი (24), 1:2 რუუტუ (33), 2:2 სიომინი (58), 3:2 სიომინი (60)

**პიტსბურგი 5:4 ედმონტონი**
2:0 3:1 0:3
1:0 შატანი (10), 2:0 ტელბოტი (16), 3:0 შატანი (28), 4:0 სიკორა (32), 5:0 სიკორა (34), 5:1 პიზანი (39), 5:2 ჯილბერტი (43), 5:3 ჰემსკი (44), 5:4 სურეი (49)

**რეინჯერსი 5:2 ტამპა**
1:0 1:1 3:1
1:0 კალაჰენი (17), 2:0 დრური (35), 2:1 სენლუი (39), 3:1 დრური (41), 3:2 მელოუნი (48), 4:2 სტაალი (49), 5:2 დრური (60)

**ოტავა 4:1 ფილადელფია**
2:0 1:1 1:0
1:0 ვოლჩენკოვი (9), 2:0 ჰიტლი (13), 2:1 ეშემი (28), 3:1 ვინჩესტერი (29), 4:1 ნილი (59)

**კოლორადო 1:3 მინესოტა**
0:2 1:1 0:0
0:1 ბუშარი (4), 0:2 პულიო (8), 0:3 ბრიუნე (30), 1:3 ტაკერი (33)

**კალგარი 7:6 ნეშვილი**
4:0 2:3 1:3
1:0 კონროი (8), 2:0 ბურკი (12), 3:0 კონროი (17), 4:0 სარიჩი (19), 5:0 იგინლა (23), 5:1 ერატი (23), 5:2 არნოტი (25), 5:3 ვებერი (29), 6:3 ლენგკოუ (30), 7:3 იგინლა (41), 7:4 ლეგვანდი (46), 7:5 ფიდლერი (57), 7:6 ვებერი (60)

**ვანკუვერი 1:0 ფინიქსი**
1:0 0:0 0:0
1:0 ბიექსა (12)

**ლოს ანჯელესი 3:2 ფლორიდა**
2:0 0:0 1:2
1:0 ბოილი (17), 2:0 პრესინგი (19), 2:1 სტიუარტი (43), 3:1 ბრაუნი (52), 3:2 ჰორტონი (60)

**სან ხოსე 5:4 სენტ ლუისი**
1:2 1:0 2:2 0:0 (1:0 ბულიტებით)
0:1 ტკაჩუკი (6), 0:2 სტემპნიაკი (7), 1:2 ტორნტონი (10), 2:2 ბლეიკი (28), 2:3 მაკდონალდი (48), 3:3 კლოუ (50), 3:4 ბექსი (51), 4:4 კლოუ (59)



# ვინუსმა სერენა დააჩოქა



**ქალები**
**წლის შემაჯამებელი ტურნირი**
**დოჰა. ყატარი**
**საპრიზო 4 550 000 დოლარი**

**წითელი ჯგუფი**
ვინუს უილიამსი (8, აშშ) — სერენა უილიამსი (3, აშშ) 5:7 6:1 6:0; ელენა დემენტიევა (4, რუსეთი) — დინარა საფინა (2, რუსეთი) 6:2 6:4

**თეთრი ჯგუფი**
ელენა იანკოვიჩი (1, სერბეთი) — სვეტლანა კუზნეცოვა (7, რუსეთი) 7:6 6:4

დოჰაში მიმდინარე ქალთა წლის შემაჯამებელი ტურნირის მესამე სათამაშო დღის მთავარ მოვლენად უდავოდ შავდა უილიამსების მორიგი საოჯახო გარჩევა უნდა ქცეულიყო. რა ფორმაშიც არ უნდა იყვნენ ვინუსი და სერენა, ყოველთვის რომის კოლიზეუმის თეთრ ქვიშაზე მორკინალ გლადიატორებს გვანან ხოლმე, რის გამოც მაყურებელი ამჯერადაც ასეთი შოუს ნახვას ელოდა. მაგრამ შავდებმა ყველას იმედები გაუცრუეს და თავისი თამაშით კიდევ ერთხელ დაგვანახეს, რომ მართლაც სეზონის მიწურულია. ამის გამო კი ჩოგბურთელებს უმაღლეს დონეზე და მაღალ ტემპში სამსეტიანი ბატალიების ჩატარებას ვეღარ მოვთხოვთ.

არადა, შეხვედრა მართლაც საინტერესოდ დაიწყო. შავდებმა თავიდანვე გაცვალეს ბრეიკები და შემდეგ თამაში ქულა-ქულაში წავიდა. ასე გაგრძელდა მე-12 გეიმამდე. ჰოდა, როცა ყველამ გაიფიქრა, საჩოგბურთო ლატარიის ჯერი მოდისო, სერენამ იყოჩაღა და უფროს დას მოწოდება კიდევ ერთხელ აართვა, რითაც დაწინაურდა კიდეც.

აქ ალბათ ცოტას თუ ეგონა, რომ ვინუსი შეძლებდა ამ მატჩის ამოქაჩვას — მას ხომ ზედიზედ მესამე დღის განმავლობაში უწევდა თამაში და გადაღლა უნდა დატყობოდა. მაგრამ პირიქით კი მოხდა, უფროსმა უილიამსმა ტემპსაც უმატა. კორტზე მოძრაობასაც და ამით სერენა მართლაც შოკში ჩააგდო. შეიძლება იმის თქმაც, რომ კორტზე მხოლოდ ვინუსი თამაშობდა, სერენა კი მაყურებლის როლით კმაყოფილდებოდა.

მოკლედ, ვინუსმა მეორე სეტში მხოლოდ გეიმი დათმო და ანგარიში გაათანაბრა. ყველაფერი მესამე პარტიაში უნდა გარკვეულიყო და აქ უკვე ნამდვილად მოსალოდნელი იყო შეუპოვარი ბრძოლა. დასაწყისმაც იმედები გაამართლა და თითქმის 20 წუთს გასტანა — უფროსმა შავდამ მხოლოდ მეხუთე ცდიდან მოიგო პირველი გეიმი.

თუმც იმის მაგივრად, რომ გადამწყვეტი პარტიის დარჩენილ ნაწილსაც ამდაგვარ ბრძოლაში ჩაევლო, სერენა ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით, დადგა — კორტზე ძლივს დაჩანჩალებდა და დას ყველაფრის გაკეთების საშუალებას აძლევდა. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, ვინუსმა ეს სეტი საერთოდ გეიმწაუგებლად მოიგო და ამით ჯგუფში პირველი ადგილი გაინაღდა კიდეც.

„ვფიქრობ, საკუთარი თამაში მეორე სეტის დასაწყისში ვიპოვე. ნელ-ნელა ყველაფერი კარგად აეწყო და ბოლოსკენ ლამის იდეალურად ვჩოგნაობდი. სერენას კი პირიქით მოუვიდა, დროის გასვლასთან ერთად აღარაფერი გამოსდიოდა — ერთი ჩოგანი არ გავარდნია ხელიდან, თორემ სხვა მხრივ ყველანაირ შეცდომას უშვებდა“ — აღნიშნა ნამატჩევს ვინუსმა, რომელმაც ამ მოგებით დასთან შეხვედრებში ანგარიში გაათანაბრა, 9:9.

სერენას ახლა ნახევარფინალში გასასვლელად გადამწყვეტი ჯახი ელის ელენა დემენტიევასთან და გუშინს მერე გვარიანად თუ არ მოუმატა, ჯგუფში ჩარჩენას ვერ აცდება. მით უმეტეს, რომ დემენტიევამ ძალიან ადვილად მოუგო დინარა საფინას და ამით ყველას დაანახვა თუ რამდენად ხეირიან სათამაშო ფორმაშია. მართალია, ლენას საფინაც გვარიანად წაეხმარა თავისი უგერგილო თამაშით, მაგრამ ეს მაინც ბევრს არაფერს ნიშნავს — დღევანდელი გადასახედიდან სერენასთან შეხვედრაში რუსის შანსები უფრო შთამბეჭდავად გამოიყურება.

აი, თეთრ ჯგუფში კი თითქმის ყველაფერი გარკვეულია. ნახევარფინალის საგზურები უკვე გაინაღდეს ელენა იანკოვიჩმა და ვერა ზვონარიოვამ და ახლა ურთიერთჯახში ჯგუფის პირველადგილოსნის ვინაობის გარკვევა მოუწევთ. ეს ყველაფერი კი მას შემდეგ გაირკვა, რაც იანკოვიჩმა სვეტლანა კუზნეცოვა დაამარცხა — შედეგად სერბსა და ზვონარიოვას აქტივში ორ-ორი მოგება დაუგროვდათ და ამის გამო ორივენი მიუღწეველი შეიქნენ იმავე კუზნეცოვასა და ანა ივანოვიჩისთვის.

**ბაჩა ლომაშვილი**

Formula 1
რუბრიკას წარმოგიდგენთ Mobil 1
№1 საავტომობილო ზეთი

# ვამბობთ ჰემილტონს, ვგულისხმობთ ფეტელს




*მსოფლიოს 59-ე საპირველფორმულო ჩემპიონატის გამარჯვებული გასულ კვირას დასკვნითმა, ბრაზილიურმა ეტაპმა გამოავლინა. ეს ზედიზედ მესამე შემთხვევაა, როცა ჩემპიონს სეზონის ბოლო გრან პრი არკვევს, საერთოდ კი 25-ჯერ მომხდარა. ხუთჯერ ტიტული სამი რბოლით ადრე გაინაღდეს — გასული საუკუნის შორეულ 60-იან წლებში „მფრინავმა შოტლანდიელებმა" ჯიმ კლარკმა და ჯეკი სტიუარტმა ეს ორ-ორჯერ გაახერხეს, სამი წლის წინ მათ ესპანელი ფერნანდო ალონსოც შეუერთდა. 1992 წელს ინგლისელმა „ლომმა" ნაიჯელ მენსელმა „ჭერი" ხუთ ეტაპამდე ასწია, ხოლო ათი წლის შემდეგ ჯადოსნურმა მიხაელ შუმახერმა ლამის შუა სეზონში, ფინალამდე ექვსი რბოლით ადრე მოიპოვა თავისი მეხუთე ტიტული*

## ლუის XXX

23 წლის შავკანიანი ინგლისელი ლუის კარლოს ჰემილტონი „სამეფო რბოლების" 30-ე და თანაც ყველაზე ახალგაზრდა გვირგვინოსანი გახდა. აქამდე უმრწმესი ჩემპიონის ფრიად საპატიო წოდებას ალონსო ფლობდა — 2005 წელს პირველი ტრიუმფისას იგი 24 წლის და 58 დღის გახლდათ. ჰემიმ ნანდოს მიღწევა ოთხი თვით გააახალგაზრდავა. საინტერესოა, რომ ალონსოს გაელვებამდე პირველი ბრაზილიელი გვირგვინოსნის ემერსონ ფიტიპალდის წინა მიღწევამ მთელი 33 წელი გაძლო.

წლევანდელი წარმატება ბრიტანელ მძღოლთა მე-13 აღზევებაა, საერთოდ კი ლეგენდარულთა სიაში ალბიონის ყველაზე მეტი, ცხრა წარმომდგენელია. სამ-სამი ტიტულიანი ჰყავს ბრაზილიას და ფინეთს, ორ-ორი — იტალიას, ავსტრიას, ავსტრალიას და აშშ-ს, კიდევ შვიდ ქვეყანას — თითო-თითო. ჰემილტონმა, როგორც იქნა, სარეკორდოდ ხანგრძლივი ცხრასეზონიანი ხელმოცარვის მერე მოუპოვა ახალზელანდიელი მრბოლ-ინჟინრის, ბრიუს მაკლარენის გუნდს ჩემპიონობა. მანამდე ეს ექვსმა სუპერპილოტმა შეძლო: ბრაზილიელმა ემერსონ ფიტიპალდიმ (1974), ინგლისელმა ჯეიმს ჰანტმა (1976), ავსტრიელმა ნიკი ლაუდამ (1984), ფრანგმა ალენ პროსტმა (1985, 86, 89), ბრაზილიელმა აირტონ სენამ (1988, 90, 91) და ფინელმა მიკა ჰაკინენმა (1998, 99).

ერთი სიტყვით, წლეულს მაკლარენთა მე-12 ტრიუმფია, რეკორდსმენ „ფერარიზე" სამით ნაკლები, თუმც ისიცაა, რომ სკუდერიელებმა უკლებლივ ყველა ჩემპიონატში მიიღეს მონაწილეობა, ხოლო „ვერცხლისფერი ისრებისთვის" ეს მხოლოდ 43-ე სეზონი იყო, რაც პროცენტულად გაცილებით უკეთესი შედეგიანობაა.

აქვე იმაზეც, რომ გუნდურ, ანუ კონსტრუქტორთა თასს მეთექვსმეტედ დაეპატრონა „ფერარი", ხოლო რვაზე გაჩერებულ „მაკლარენს" უკვე მთელი ათი წელია, წარმატებისთვის ველარ მიუღწევია.

ჰემილტონმა არგენტინელი ხუან მანუელ ფანხიოსა (1951) და კანადელი ჟაკ ვილნევის (1997) გასაკვირი მიღწევა გაიმეორა, როცა „სამეფო" ტიტული თავის მხოლოდ მეორე ჩემპიონატში მოიხვეჭა.

საინტერესოა, რომ სწორედ „მაესტრო" ფანხიოა ფორმულა 1-ის ისტორიაში ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი, 1957 წელს იტალიური „მასერატით" მეხუთე ტიტული მან ლუისზე ზუსტად ორჯერ უფროსმა, 46 წლის ასაკში მოიგო.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, წლევანდელი ტრიუმფატორი სეზონის უკანასკნელ რბოლაში გაირკვა, თუმც ჰემილტონი თავიდანვე იყო ავანსცენაზე. ლუისმა სასტარტო, ავსტრალიური დიდი პრიზი მოიგო, შემდეგ მას მეწინავეობა შარშანდელმა გვირგვინოსანმა კიმი რაიკონენმა ჩამოართვა. სამი ეტაპის მერე ლუისი გენერალურ კლასიფიკაციაში უმაღლეს სტრიქონზე დაბრუნდა, თუმც იქვე, კანადაში, გამოთიშვის გამო დაკარგა პირველობა და ასევე ერთი ეტაპით სატურნირო ცხრილის თავში პოლონელი რობერტ კუბიცა მოექცა, მერე მასა. შუა სეზონში მიყოლებით ინგლისსა და გერმანიაში გამარჯვებით ჰემილტონმა მეწინავეობა დაიბრუნა და ბოლომდე აღარც დაუთმია, თუმც სან პაულუს „ინტერლაგუშზე" დრამატულ ბრძოლაში ბეწვზე გადარჩა და ზედ ფინიშის წინ ტიმო გლოკის „ტოიოტას" გვერდის ავლით სწორედ სატიტულოდ აუცილებელ მეხუთე ადგილზე გავიდა და საერთო ჩათვლაში სულ რაღაც ერთი ქულით აჯობა ოთხი წლით უფროს ფელიპეს. არადა, გერმანელის გასწრება რომ ვერ მოესწრო, ფორმულა 1-ის თითქმის სამოცწლიან არსებობაში პირველად, პრეტენდენტები თანაბარ ქულებს დააგროვებდნენ და ჩემპიონიც უფრო მეტ მოგებულ რბოლათა წყალობით გამოვლინდებოდა. ამ მხრივ უპირატესობა ექვს დიდპრიზიან მასას მხარეს იქნებოდა, ლუისს ხომ ერთით ნაკლები აქვს.

შეგახსენებთ, რომ შარშანაც ჩემპიონატის ბედი ერთმა ქულამ გადაწყვიტა „ფერარის" ფინელ კიმი რაიკონენის სასარგებლოდ. დაზარალებული მაშინ სწორედ ჰემი იყო.

ტრიუმფატორსა და ვიცე-ჩემპიონს შორის ეს მიზერული სხვაობა ყველაზე მეტჯერ, რვა პირველობისას დაფიქსირდა. სარეკორდოდ მცირე უპირატესობა კი 1984 წელს აღინიშნა, როცა ჩემპიონატის ბედი სულ რაღაც ნახევარმა ქულამ გადაწყვიტა „მაკლარენის" პრიმა-პილოტ ლაუდას სასარგებლოდ თანაგუნდელ პროსტთან დუელში.

ისიცაა საინტერესო, რიომ პროსტმა მომდევნო სეზონში დიდებული რევანში აიღო, რაც დღემდე ერთადერთ შემთხვევად რჩება. წლეულს მეორე ნომრით მასა დაქროდა.

### უკვე გმირი ფეტელი

ჩამთავრებულ ჩეზონში უჩვეულოდ ბევრმა, შვიდმა პილოტმა მოიგო რბოლა. მსგავსი მრავალფეროვნება ბოლო 23 სეზონში მხოლოდ მეორედ აღინიშნა. ამასთან, ფინელმა ჰეიკი კოვალაინენმა („მაკლარენი") და გერმანელმა სებასტიან ფეტელმა („ტორო როსო") კარიერაში პირველად შეძლეს საპირველფორმულო დიდი პრიზის დასაკუთრება.

ფეტელმა ალონსოს განვლილ ჩემპიონატში მეორე საყმაწვილო მიღწევა ჩამოართვა მას შემდეგ, რაც იტალიის გრან პრიზე მონცაში სენსაციური გამარჯვება მოიპოვა. ეს მან მაშინ მოახერხა, როცა 21 წლის და 73 დღის იყო და ნანდოს ხუთი წლის წინანდელი მიღწევა ათ-ნახევარი თვით გააუმჯობესა.

რაც უმთავრესია, „მომავლის ჩემპიონმა" სებმა 18-ეტაპიან უგრძეს სეზონში არცთუ სახუმარო, 35 ქულას მოუყარა თავი და პირველი სრული ჩემპიონატი საპატიო მერვე პოზიციაზე დაასრულა.

წლეულს კიდევ ერთი ეპოქალური რეკორდი დამყარდა. 36 წლის ბერიკაცმა, ბრაზილიელმა რუბენს ბარიკელომ უძველესი, 15-წლიანი საფორმულო რეკორდი დაამხო, რომელიც იტალიელ რიკარდო პატრეზეს ეკუთვნოდა 256-რბოლიანი კარიერის შემდეგ. რუბინიომ თავის მე-16 სეზონში უკვე 11 ეტაპით გადაუსწრო რიკარდოს და რაკი ამ მიღწევაზე შეჩერებას არ ფიქრობს, იქნებ სამას გრანპრიანი ზღვარიც დაძლიოს. ოღონდ, ასეა თუ ისე, აქაც ფეტელის ვარიანტს მაინც ნუ გამოვრიცხავთ.

მოდი და ნუ გაიხსენებ, რომ ფეტელმა შარშან კანადაში საშინელ ავარიაში მოხვედრილი პოლონელი რობერტ კუბიცა შეცვალა ერთადერთ რბოლაში და ფინიშზე მერვე ადგილით ყველაზე ახალგაზრდა ქულის მომპოვებელი პილოტი შეიქმნა.

ერთი სიტყვით, ბურთი და მოედანი მის ხელთაა.

**გია ახალაძე**



სებასტიან ფეტელი

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი გიორგი დარჯანია
მთავარი რედაქტორის მოადგილე კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი ზვიად მოსიაშვილი
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუგზარ ლოლაძე, ილია ნანობაშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვიაჩესლავ გასპაროვი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი აბულაძე, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: თამაზ მიგრიაული, გრიგოლ სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლუიზა ბეგლაროვა, ლიანა ბესელია, ხათუნა ბუზუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, თამარ ქინქლაძე

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00